

ქართული გზა



საქართველოს
მხარეთმცოდნეობის
კავშირის
გაზეთი
№4 (307)

1-31 ივლისი
2024

ფასი 150 ლარი

გაეროს
თავი პრესა

საქართველოს მხარეთმცოდნეობის XXVI ყრილობა

ყრილობა შესავალი სიტყვით გახს-
ნა ფარნა რაინაულმა.

ყრილობის თავმჯდომარეობა ალ-
ტერნატიული არჩევის შედეგად დაე-
ვალა ოთარ ფალიანს.

საანგარიშო მოხსენებები წაიკითხ-
ეს: რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გო-
ნაშვილმა, ბალათერ არაბულმა, სოსო
სიგუამ.

გამოვიდნენ: დავით თედორაძე,
დათო ახლოური, ლაშა გვასალია, ნაი-
რა მარშანია.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომ-
არის ბელა ქეჭურიას გამოსვლის შემ-
დეგ ყრილობამ საქართველოს მწერ-
ალთა კავშირის მუშაობა დადებითად
შეაფასა.

მწერალთა კავშირის განახლებუ-
ლი წესდების შესახებ ყრილობას მოხ-
სენებით წარუდგა სოსო სიგუა.

მწერლებმა წესდება ღია კენჭისყ-
რით დაამტკიცეს.

ყრილობამ მწერალთა კავშირის
გამგეობა აირჩია:

ბელა ალანია
ბალათერ არაბული
დავით ახლოური

ავთანდილ ბერიძე
ზაალ ბოტკოველი
ლაშა გვასალია
თემურ გოგასაძე
მაყვალა გონაშვილი
მანანა გორგიშვილი
მანანა დუმბაძე
ანნა ერისთავი
კონსტანტინე თავართქილაძე
დავით თედორაძე
მარინე თექთუმანიძე
ნიკოლოზ კურტანიძე
თეიმურაზ ლანჩავა
ნაირა მარშანია
რევაზ მიშველაძე
ქეთი ნათელაძე
ფარნაოზ რაინაული
სოსო სიგუა
ია სულაბერიძე
ბადრი ქუთათელაძე
ვატანგ ლლონტი
ირაკლი შამათავა
ქეთევან შენგელია
თამაზ ჩადუნელი
რაულ ჩილაჩავა
ნანა ცინცაძე
თემურ ცერცვაძე

მარინე ცხვედიაშვილი
თინა ჭყუია
მზია ხეთაგური
თამაზ ხმალაძე
მაია ხოფერია

წესდების თანახმად მწერალთა კა-
ვშირის სამდივნო განსახლებულია 5
წევრის რაოდენობით:

ყრილობამ ღია კენჭისყრით
აირჩია სამდივნო ამ შემადგენლობით:

მაყვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
ბალათერ არაბული
სოსო სიგუა
ბადრი ქუთათელაძე

სამდივნოს გადაწყვეტილებით
მისი თითოეული წევრი უხელმძღვან-
ელებს დარგობრივ კომისიებს და ამ
კომისიების შესაბამისად მწერალთა
კავშირის თავმჯდომარედ იწოდება.

სამდივნოს ფუნქციები ასე განაწ-
ილდა:

მაყვალა გონაშვილი - საორგა-
ნიზაციო და საფინანსო კომისიების
თავმჯდომარე;

რევაზ მიშველაძე - მწერალთა კა-
ვშირის წევრად მიმღები და ლიტერ-

ატურული პრემიების მიმნიჭებელი
კომისიის თავმჯდომარე;

ბალათერ არაბული - საგამომცე-
მლო საქმიანობის და უცხოეთთან
ურთიერთობის კომისიების თავმჯ-
დომარე;

სოსო სიგუა - კლასიკური მემ-
კვიდრების და ლიტერატურული
ორგანოების კომისიების თავმჯ-
დომარე;

ბადრი ქუთათელაძე - ახალგაზ-
რდა მწერლებთან და რეგიონებთან
მუშაობის კომისიების თავმჯდომარე.

ყრილობამ აირჩია სარევიზიო
კომისია:

მამუკა გოგიტიძე
მამია გოგოლაძე
იაშა თანდილავა
ირმა კეკელიძე
ლია მარტაშვილი
ლია პაპიაშვილი
ნინო უძილაური
ოთარ ფალიანი
ჯუბა ლებელი
ირმა ყალიჩავა
ნანა შალამბერიძე

მხარეთმცოდნეობის 26-ე ყრილობის რეზოლუცია

ბოლო წლებში საქართველოში შექმნი-
ლი სოციალურ-ეკონომიკური და პოლი-
ტიკური გარემო, ყოფილი ხელისუფლების
უგუნურობით დაკარგული საქართვე-
ლოს ტერიტორიები, მოუგვარებელი კონ-
ფლიქტები და, საგანგაშო დემოგრაფიული
მდგომარეობა, ნარკომანია და უცხოეთში
ლუკმა-პურისთვის გადახვენილი თანამოქ-
მეების ბედი, „ნაციონალების“ ხელით დან-
გრეული ეკლესიები და დღესაც სახელმწი-
ფოებრივი რელიგიის, მართლმადიდებლური
სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული
მათი დაუფარავი იდეოლოგიური ბრძოლა,
ათასი ჯურის სექტანტური ჯგუფების მომ-
რავლება, რომლებიც ჩვენი საზოგადოების
ცნობიერების დაშლისა და დანაწევრებისკენ
ნა მიმართული, უმუშევრობა და საზოგა-
დოებაში გაბატონებული უიმედობა, ხშირად
„ქართული ოცნების“ უნიათობა და პასიურო-
ბა, რაც ბოლო დღეებში რუსთაველზე მიმ-
დინარე, საქართველოსთვის ძალიან საშიშ,
ნაციონალების დადგმულ აქციებზე უფრო
გამყდარებდა, ქართველ მწერლებს გვაძლევს
უფლებას, ვთქვათ, რომ ჩვენი დემოკრატიული
და უმოქმედობა სამშობლოს ღალატის ტოლ-
ფასად აღიქმება! დღეს, უპირველესად,
მწერლობას არა აქვს გაჩუმების უფლება!
ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგ-
ალითი უნდა ვუჩვენოთ ხალხს!

დასაბამიდან ჩვენი ერის ცხოვრებაში
ქართულ სიტყვას და მწერალს ყოველთვის
დიდი მისია გააჩნდა, რადგანაც მწერლობა
იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული

ღირებულებების დამცველი და მატარე-
ბელი; რომ არა შოთა რუსთაველის „ვეფხ-
ისტყაოსანი“, რომელიც ჩვენი ხალხის
ჭეშმარიტი ზნეობრივი სამოქალაქო კონ-
სტიტუციაა და მასზე იზრდებოდნენ თაო-
ბები; რომ არა ილია ჭავჭავაძე, რომელიც
სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხმალომდე-
ბული იბრძოდა ერის გამოსაღვიძებლად და
გადასარჩენად, რომელიც დაუფარავად,
პირდაპირ განაცხადა: „მე ცა მინიშნავს და
ერი მზრდის, ზეციერი მინიერსა, ღმერთთან
მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა
ერსა“, მათ გარეშე საქართველო შეიძლება,
აღარც ყოფილიყო!

მე-20 საუკუნეში მრავალჯერ ეცადნენ
ქართველი მწერლის „მოთვიზიერებას“,
მისი სახელის დაკნინებას, რათა მდროვე
პოლიტიკანებს საკუთარი პოლიტიკური ამ-
ბიციებისათვის თავისუფალი და უკონტრო-
ლო ასპარეზი ჰქონოდათ და ეს ნაწილობრივ
შეძლეს კიდევ!

დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, ხშირად,
იგივე გრძელდება: „საქართველოს არ-
აეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტ-
სა“ და „სოროსში“ გამოზრდილი „ნაც-ელ-
იტა“ 9 წლის განმავლობაში ყველაფერს
აკეთებდა მწერლობის „ჩასარეცხად“. მათი
ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, კომუ-
ნისტებსაც რომ არ უკადრიათ, 500 მწერალი
უკანონოდ გამოაძევეს მწერალთა კავშირის
საკუთარი სახლიდან.

სამწუხაროდ, ქართველთაგან უმეტესად
საკუთარი მხარე ჩვენთვის ჩამორთმეული
მწერალთა კავშირის შენობა, რომელიც
თითქმის ერთი საუკუნე ქართველ მწერ-
ლებს ეკუთვნოდა, დიდი ძალისხმევით მი-
უხედავად ვერ დავიბრუნეთ;

მოუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშ-
ვილიც შეპირებული იყო შენობის დაბრუნე-
ბას და კულტურის მინისტრმა, ქალბატონმა
თეა წულუკიანამაც გვითხრა, რომ რამდენ-
იმე ოთახს მოგვცემდნენ, ეს პრობლემა
დღესაც მოუგვარებელია!..

ჩვენ ერთად, სამომავლოდ, შენობის
დასაბრუნებლად, როგორც ჩანს, კვლავ
მოგვინევს ხელისუფლების შეწუხება!

ჩვენი არაერთი მიმართულება, საქართვე-
ლოს ხელისუფლებამ 2017 წელს ვერ მოახ-
ერხა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილის
აღნიშვნა; მაშინ, როდესაც რუსთაველით
და „ვეფხისტყაოსნით“ მთელ მსოფლიოში
შეგვიძლია წარმოვჩნდეთ დიდი ისტორიის
და დიდი კულტურის ერად.

შოთა რუსთაველის იუბილე მაღალ დო-
ნეზე აღინიშნა სანკტ-პეტერბურგში, სადაც
ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა მისი სახელი და
დაიდგა პოეტის ძეგლი, რომლის ინიცია-
ტორიც ჩვენი თანამემამულე, კარგი მამ-
ულიშვილი და პოეტი, ავთანდილ ბუთხაშ-
ვილია. იუბილე აღინიშნა ასევე ისრაელში
და სხვა ქვეყნებში...

სამაგალითოდ ჩვენს მეზობელ სახელ-
მწიფოში, აზერბაიჯანში, ხელისუფლება
აფინანსებს მწერალთა კავშირს, მწერალთა
კავშირის სამ ლიტერატურულ ჟურნალსა
და ლიტერატურულ გაზეთს; ამავე დროს
მწერლებს 60 წლამდე ეძლევათ სტიპენდია
400\$ 60 წლის ზევით — 800\$.

აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან
არსებობს და ფინანსდება მთარგმნელობი-
თი ცენტრი, რომელიც მსოფლიოს აცნობს
აზერბაიჯანულ ლიტერატურას და აზერბაი-
ჯანულად თარგმნის სხვა ქვეყნების მწერ-
ლებს. მათ ჩვენი ჩარევით უკვე გამოსცეს
ქართული პროზის ანთოლოგია, რამდენიმე

ქართველი პოეტის ნიგნი და ამზადებენ ქარ-
თული პოეზიის ანთოლოგიასაც!..

სწორედ ეს არის სახელმწიფოებრივი
ზრუნვა კულტურაზე და მწერლობაზე, რაც
ჩვენ ძალიან გვაკლია!

წლების განმავლობაში შოუმენების,
მედროვეების, ხელისუფლების „კარის
მწერლების“, ეგრეთწოდებული „პოლი-
ტოლოგების“, „არასამთავროების“, მდარე
ხარისხის მასკულტურის წარმომადგენ-
ლების, ფსევდო მომღერლების, მუსიკოს-
ების, მსახიობების აღზევების ხანა იყო და
დღესაც ნაწილობრივ იგივე გრძელდება!
ეს გამოჩნდა ფრანკფურტის ნიგნის ბა-
ზრობაზეც, სადაც არაერთი უნიჭო მწერ-
ალი წაიყვანეს ნიჭიერების ნაცვლად! ყველა
ასპარეზი, განსაკუთრებით ტელევიზიები,
მხოლოდ მათ ეთმობათ, რაც, თავისთავად,
საზოგადოების ზომბირებისა და მოზარდი
თაობის ზნეობრივ-მორალური გადაგვარე-
ვისთვისაა გამიზნული!.. ეს კარგად გამოჩნ-
და ბოლო დღეებშიც!..

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, გან-
გაშის ზარები ჩამოვრეკოთ საქართველო-
ში და ამ სამშობლოში საქმეში სრულიად
საქართველოს მოსახლეობა, ყველა პარტი-
ის, კულტურისა და ხელოვნების ჭეშმარი-
ტი მოღვაწეები და მათ შორის ქართველი
მწერლებიც, ერთად უნდა დავდგეთ, რათა
ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს სამარ-
თლიანობის აღდგენა, რათა ჩვენს შვილებს
და შვილიშვილებს სამომავლოდ გაერ-
თიანებული, გაძლიერებული, სულირად
და ზნეობრივად ამაღლებული საქართველო
დავუტოვოთ, სადაც ყველა ღირსეულად
იცხოვრებს!..



რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ბატონო რევაზ, 2008 წლის აგვისტოს ომის ამბავი თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

რუსმა რომ დაგვარტყა, ორი დღე გაბურზუსალებული იყო ხალხი.

ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილი, არ ველოდით ამ ომს-მეთქი რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, მარა რა გვექნა, რა გვესაშველა ჩვენი თავისთვის და ჩვენი ოჯახებისათვის, გითხრა სიმართლე, არ ვიცოდით.

უნამუსოდ იტყუებოდა ჩვენი რადიო, გადავედით კონტრიბიუტორებს და წინ მივიწვევით. ცხინვალის რეგიონის დასახლებული პუნქტი უკვე აღარ არსებობს. ჩვენი ჯარისკაცები გმირობის სასწაულებს ახდენენ.

ათ აგვისტოს, საღამოს ცხრა საათზე, დაგვიძახა მარტილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მორგოშიამ. მე მაშინ ჩვენი სოფლის - ლეკურზუს თემსაბჭოს ახალარჩეული თავმჯდომარე ვიყავი.

გვეკონდა, როგორ არ გვეკონდა, ერთი ძველი ვილისი, მაგრამ არ წამართვან გზაში-მეთქი და ცხენით წასვლა გამგობინე.

დავჯექი ცხენზე და ავუყვივე ბუერის მთას. მოკლე გზით ჩვენი სოფლიდან მარტილამდე სულ თერთმეტი კილომეტრია, მეთქი არა.

გლახათაა საქმეო, მორგოშიამ, მტერმა გორი დაბომბა და ქალაქში ხანძარი.

მოსახლეობა სტალინის სახლ-მუზეუმს მიანყდა, რადგანაც ხმა გავრცელდა, პუტინი სტალინის ეზო-კარს არ დაბომბავსო.

ამასობაში გორის ხიდი სამხედრო ქალაქიანად დალენეს და აღმოსავლეთ საქართველოს მონყვეტილი ვართო.

ამაღამ, ალბათ, ფოთს და სენაკს გაანადგურებს მონინალმდე და არ ვიცი, როგორ იქნება ჩვენი საქმეო.

მოსახლეობა გააფრთხილეთ, წყნარად იყვენ, პანიკას ნუ მიეცემიან. არავითარი პარტიზანობა ჯერჯერობით არ იგეგმებაო. თქვენ, სოფლის წინამძღოლები, ღამის თერთმეტ საათამდე იჯექით თქვენს კაბინეტებში. ჩვენთან კავშირი იქონიეთ. ძებნა არ დამანყებინოთ. დანარჩენს შემდეგ შეხვედრათ შეგატყობინებთო.

12 აგვისტოს, ღამის ორ საათს აღარაფერი აკლდა. ჩემი სახლის კარზე ბრახუნი ატყდა. კაკუნი კი არა, ბრახუნი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ე, მოვიდნენ ალბათ-მეთქი, ცოლს წაწურჩულე, წამოყარე ბავშვები და

ჩულანში დაიმაღეთ, კარი შიგნიდან ჩაკეტეთ-მეთქი.

ამასობაში მე კატის ნაბიჯით დავდივარ სანოლ ოთახში წინ და უკან.

ბარდლა გაბუნია, ვიცით სახლში ხარ, გაგვიღე კარიო, მეგრულად მეძახიან. მეგრული რომ გავიგონე, გავაღე კარი, აბა, რას ვიზამდი.

რაკი ჩემი სახელი და გვარი იციან, არ უნდა იყვნენ მთლად გადამთიელები.

მიჭირავს ხელში ლამპა და ვდგავარ ღია კარებში.

ორნი არიან. სამხედრო ფორმა აცვია ორივეს.

ნოველა როცა თავი ქუდში გაქვს

შემოვიწვიე სახლში. ამდენი არ გვცალიაო, იუარეს.

შემოდით, კაცო, ასე კარებში ხომ ვილაპარაკებთ-მეთქი.

შემოვიდნენ, ტაბურეტები გაუფროჩე.

ჩვენაო, სენაკის სამხედრო ბაზიდან ვართო, ამ ორიდან უფრო დაბალმა, წვერებიანმა დაინყო, ცოტა ენას უკიდებდა, სამხრეთზე ორი ყვითელი ხაზი ჰქონდა ტკუტკუბიროდ.

გაიგებდი ალბათ, დღეს სამ საათზე დაბომბეს სენაკის ბაზა და აეროპორტიო.

აეროპორტის ტრასა ისეა გადახნული თვითმფრინავი დაჯდება კი არა, ტრაქტორი ვერ გაივლისო. ჩვენ დაბომბვამდე ათი წუთით ადრე დავტოვეთ ბაზა და ოცულებად დავიყავით და გამოვიქცითო. გამოქცევა და თავის შველა კი არ ჰქვია ამ ამბავს, ჩვენაო სპეცბრძანება გვაქვსო, სოფლები უნდა დავიცვათ რუსის შემოჭრის შემთხვევაშიო.

სხვები სად არიან-მეთქი, გაუბედავად ვიკითხე.

მიშველაძეების ღელეს რომ მაღლა, სათავისკენ აუყვები, ალე ხარგელის ნასახლარის მარჯვნივ, რცხილნარში დაბურული ჩასასვლელია, იქ ვართ დაბანაკებული. დაბანაკება ჰქვია, თორემ ზურგჩანთების და ორი დღის პაიოკის მეტი ვერაფრის წამოღება ვერ მოვასწარით. ნაბრძანები იყო იარაღისთვის ხელი არ უნდა გვეხლო. დავტოვეთ ყველაფერიო.

აბა, იარაღი თუ არ გაქვთ, რით უნდა დავიცვათ, ბიჭებო-მეთქი.

ნუ გეშინიათ, გამოჩნდება რამე საშველი. არც მასეა საქმე, შეიძლება იარაღი მოგვანოდონ, დაპირებული არიანო, ლულულეებს შედარებით ახალგაზრდა, უწვერულვაშო ზემდეგი.

ახლა მთავარია, მტერმა არ გაიგოს ჩვენი ადგილსამყოფელი. შენ სოფლის ხელმძღვანელი ხარ და სალაპარაკოდ ნუ გახდი ამ საქმეს. ორ-სამ სანდო კაცს უთხარი, სადაც ვართ, მეტს არა. თუ გაბაზრდა ეს ამბავი, ადგილს მაშინვე გამოვიცვლით. ყოველ შემთხვევაში, ნაბრძანები გვაქვს, მტერს ცოცხალი თავით არ დავნებდეთო, წვეროსანმა.

ჯანჯუხა და მსხლის არაყი გამოუტანე დამცველებს, სამ-სამი თხის რქა დალიეს და ტირილით დამემშვიდობნენ - აბა, თქვენი იმედი გვაქვსო და შენც ჩვენი იმედი გქონდესო. რა დიდებული არაყიაო, ხომ არ გაქვს საშუალება, ცოტა ჩამოგვისხიო.

სამლიტრიანში რაც მქონდა გავატანე, თავის ჩურჩხელიან-ტკბილკვერიანად.

გაგიმართლათ, რომ ჩვენ გვერგო თქვენი სოფელი დასაცავად. სულ ოცდასამი ვართო. ერთიმეორეზე უკეთესი ბიჭები არიანო. მშვიდად იძინეთ, ანი ნულარაფრის გეშინიათ

(ფეხმოუტეხავი) თხა და ერთმა-ორმა მოზვერიც კი. სია გვეკონდა ჩამონერილი და რვა დღის განმავლობაში ორცია-პორციობით ვანვდიდით საქმელს ჩვენს მშველელ-გადამრჩენლებს.

ის ომი მოგეხსენება, სამ დღეში ჩვენი უებრო დამარცხებით დამთავრდა. ეს ჩვენც ვიცოდით რადიო-ტელევიზიიდან, მაგრამ სენაკის მამაც ოცუელს ომის დამთავრებიდან ერთი კვირის განმავლობაში მაინც ვინახავდით. მოგეხსენებათ, შიშს დიდი თვალეები აქვს.

ერთი კვირის მერე სოფლის კულტსახლის დირექტორი გახუ აბაკელია სანოვავით სავსე ხურჯინიანად უკან დაგვიბრუნდა. გავსკდი სტვენით, მაგრამ იქ აღარავინ აღარ არის, წასულანო.

ცოტა კი შეგჩქვიფდი. ასე უპრაგონოდ და გამოუმშვიდობებლად როგორ წავიდოდნენ-მეთქი.

გახუ მართალი აღმოჩნდა. იმ დღეს რალა იქნებოდა და მეორე დღეს მივადექი სენაკის ბაზას.

გული მოგიკვდებოდა, რომ გენახა, რაც იქ ხდებოდა.

დანგრეულ-დაღენილი, იავარქმნილი იყო ყველაფერი.

მორიგე-კომენდანტი ხოხობაშვილი მოვძებნე.

ასე და ასე იყო-მეთქი, მე ლუკურზუს თემსაბჭოს თავმჯდომარე ბარდლა გაბუნია ვარ. კვირაზე მეტია თქვენი ბრძანებით თქვენი ოცუელი დარაჯობდა ჩვენს სოფელს. ამისთვის მაღლობელი ვართ, მაგრამ რალაც ცოტა იარაღი წაიღეს ჩვენგან. მათ შორის ბაბუაჩემის ვინტოვკა და იქნებ დაგვიბრუნონ-მეთქი.

- ვისი ბრძანებით იყვენო? - გაიკვირვა ხოხობაშვილმა. თქვენი-მეთქი.

- არა, ბატონო, ასეთი ბრძანება ქართულ სარდლობას არ გაუცია, შემოძლია ხატზე დაგიფიცოთო.

რა ვქნა, აბა-მეთქი, სახე მომეცხვარა.

- რა ერქვათ, ხომ არ გახსოვთო.

- ერთს თუ არ ვცდები, ტოგო და მეორეს ჭოლა-მეთქი. ფურცლა დავთრები, მაგრამ ამოდ, ჩვენი „დამცველები“ ვერ აღმოაჩინა, იქნებ გვარები გაიხსენოთო, შემეხვეწა ჩვენთან, ბატონო ბარდლა, ახლა რეაბილიტაცია-რემონტი იწყება, ჩვენი შემადგენლობა ახლა დაფანტულია. ასე დაახლოებით ორი წლის მერე ან შევიკრიბებით, ან არა, მაშინაც შეეჭვება, რომ თქვენი ვინტოვკა ვიპოვოთ. ისე ცნობისთვის, რუსებმა ჩვენი ბაზიდან ორმოცდაერთი ჰამერი, სამი თვითმფრინავი, რვა ჯავშანმანქანა, ოთხი ტანკი, ორასთხუთმეტი ტანკ-სანინალმდეგო ქვემეხი და თორმეტი ფრთოსანი რაკეტა წაიღესო. მობრძანდით ორი წლის შემდეგ და თუ ტოგოს და ჭოლას ცოტა სინდისი მაინც შერჩათ, ბაბუათქვენის ვინტოვკა არ დაიკარგებაო.

აგვისტოს ომის შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა, სენაკში ყოველ კვირას ჩავდივარ სხვადასხვა საქმეზე, მაგრამ გითხრა სიმართლე სენაკის სამხედრო ბაზაში არ მივსულვარ.

საქართველოს იცავენ, სად ცალიათ ბაბუაჩემის ვინტოვკის საძებნელად.

თითქოსდა თამაშის დაწყებას უცდიდა ეს წვიმა, ეს დალოცვილი.

გამოვედით სტადიონზე, ჩაბერა მსაჯმა სასტვენს თუ არა, ჩამოაკოკისპირულა და ორი საათი დაგინებულევით იწვიმა.

მაყურებელი ისედაც ცოტა იყო და თავსხმაში ერთიც არ დარჩა ტრიბუნაზე.

მაყურებელს რას დევეძებ, ჩვენ განწყვიტით წელში. სად წახვალ, მე შენ გეტყვი, შეეფარები რამეს.

დასველებულ-გაზიპული ბურთი რვა კილო მაინც გახდა. დაარტყამ ფეხს და ვისაც აწოდებ, იმასთან კი არ მიდის, იქვე ვარდება შენს სიახლოვეს ტლაპოში.

ჩავარდება წყალში და ტრიალებს ბურთი ტანაჯორივით.

მეორე ტაიმში პენალტი დაგვინიშნეს, მარა რათ გინდა; დაარტყა იუზამ და კარებამდე ვერ მიანვდინა ბურთი, იქვე დავარდა მეკარის შორიახლო.

წავაგეთ დღესაც.

ეს ზედიზედ მეშვიდე წაგებაა.

დაწყვეტილი ვყავართ ვილაცხას.

ჯერ იყო და ქართველი მწრთენელი არ ამართლებსო და ნიკარაგუელი მწრთენელი ჩამოგვიყვანეს.

არ გვეშველა არაფერი.

მერე იყო და ურუგვაელი მეკარით გაგვამდიდრეს – ბურთს მაინც არ გაუშვებსო, მარა პირველ თამაშზევე წავაგეთ ხუთით ნოლი.

- მადა ჭამაში მოდისო და ერთიმეორის მიყოლებით შვიდი ზანგი ჩამოაკონტრაქტა ჩვენმა ხელისუფლებამ განყდა წელში ჩვენი ბიუჯეტი. თუმცა ქართველი კაცი ყველაფერს მონათმენა, ოღონდ ამ სირცხვილს გადარჩეს. იმ შვიდში ერთი ბრაზილიელიც იყო.

დეინყო სეზონი და ჩვენი გადაშავებული გუნდი ამაყად გადის მოედანზე. გადის, მარა რათ გინდა.

რო- გორც თავში გითხარით, დღეს მეშვიდედ წავაგეთ.

წაგება წაგებაა, მაგრამ ექვსით ნოლი?

კაი თუ გინდა, წვიმას დააბრალე ყველაფერი, იმერულ წვიმაში თამაშს მიჩვეული არ ვართყო, გეიმართლე თავი, მაგრამ ვინც ცხრა ბურთი გაგვიტანა, იმათთვის არ წვიმდა?

დამთავრდა თამაში და თითქოს ჩვენს შერცხვენას უცდიდაო, გადაილო.

ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია.

გადავივლეთ შხაპი და გამოვლაგდით სათათბირო დარბაზში. ვე-

ლოდებით მწრთენელებს. არავინ ჩანს. რა იყო სათათბირო და გასარჩევი; სახლცეცხლწაქიდეულივით დავრბოდით 90 წუთი წინ და უკან.

ჩვენი სამარცხვინო წაგებიდან ერთ თვეში ეროვნული მთავრობა მოვიდა და პირველი, რაც გააკეთა პრემიერ-მინისტრმა, ჩვენი ფედერაცია დაიბარა და გამოუცხადა: მეო, ამერიკას და ევროკავშირს ვერაფერს ვუხერხებ, თვარა სანამ გადავდგებოდე, თქვენ მაინც მო-

გერვეითო. არ დავინახო არცერთი უცხოტომელი ჩვენს გუნდშიო. თავისი მწრთენელიანად გაუსწორეთ ანგარიში - ხვალიდან ყველას და ადგილობრივი ფეხბურთელებით შეავსეთ გუნდიო. ნელ-ნელა ისწავლიან თამაშს, აბა, რა ჯანდაბა მოუვათო. ყოველ შემთხვევაში, აწი, თუ წავა- გებთ, ჩვენი სიგლახის გამო წავაგებთ და სხვას ვერავის დავაბრალებთო.

წინ ვინ დაუდგებოდა და თვის ბოლოს შეკრებაზე რომ დაგვიძახეს, ყველაფერი ისე იყო, რავარც უფროსმა ბრძანა.

დროც ცოტა გვექონდა სავარჯიშოდ, ღვთის წინაშე ცდა არ დავიკლია, ჩვენმა ქომაგმა ბიჭებმა წელზეთ გაიხადეს და რა ძალი და ღონეც ჰქონდათ, ატრიალეს მაისურები, მაგრამ წაგებით მაინც წავაგეთ.

წაგების მეტი რა მინახავს, მაგრამ არასდროს არა- ფერს დაუნყვეტია გული ჩემთვის ისე, როგორც ამ წა- გებამ დამწყვიტა.

თათბირ-გარჩევაზე მწრთენელის ტუქსვა-ლანძღვა თავჩაქინდრულეებმა რომ მოვისმინეთ, არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, მიდღემჩი რომ ხმა არ ამომიღია, ხელი ავნიე და სიტყვა ვითხოვე.

რას იტყვი, ხერხაძეო, მწრთენელმა. თუ მომისმენთ, ჩემი მოკლე ჭკუით პატარა რჩევა მინდა მოგცეყენ ყველას, აქანა ვინც ვართ, დიდსაც და პატარასაც, რადგანაც თუ ვაგებთ, ერთად ვაგებთ და თუ გვაგინებენ, ის გინება ერთნაირად

გვეკუთვნის ფეხბურთელებსაც და მწრთენელებსაც მეთქი.

გისმენთ ყურადღებითო მწრთენელმა.

პირველი, რაც მინდა გირჩიოთ, ავირთ ნომრები. სხვადასხვა ნომერი დევიზეროთ ყველამ. ცენტრ-თავდამსხმელი მაინცდამაინც ცხრა ნომერი ნუ იქნება და ცენტრალური მცველი მაინცდამაინც სამი ნომერი მეთქი. ამით ცოტას მაინც დავაბნევთ მოწინააღმდეგეს მეთქი.

ნოველა

ყველა თავისას მიერეკება

მეორე: ეს ტრადიციული გვერდიდან ჩანოდება, „პრასტრელს“ რომ ვეძახით, უკვე დამუშავებული აქვს მთელ მსოფლიოს და ჩვენ არ გამოგვგდის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყოველთვის გვასწრებენ და „პერეხ- ვატს“ გვიკეთებენ მეთქი, მოდი, ასე მოვუაროთ ამ საქმეს: როცა გარემარბს აქვს ბურთი, მიდის „კრაიზე“ და უნდა ჩაანოდოს, იმას უკან უნდა მისდევდეს ნახევარ- მცველი და მოულოდნელად „ზადნით“ უკან ნახევარმცველს გაუგოროს თვითონ კი სირბილი განაგრძოს და სანამ მოწინააღმდეგის მცველები აზრზე მოვლენ, ნახევარმცველმა პირდაპირ კარში უნდა დაარტყას მეთქი.

მესამე და მთავარი: ჩვენი მთავარი ნაკლი უმისამართო პასე- ბია. ჩვენ უმეტეს შემთხვევაში გამიზნულ პასს კი არ ვანოდებთ, უბრალოდ ბურთს ვიცილებთ. ვურტყამთ იქით მხარეს და აღარ დავძებთ, ვინ მიიღებს ბურთს მეთქი. მოდი, რაკი გრძელი გადაცემები აღარ გამოგვდის, ეგება მოკლე პასებით ვითამაშოთ, ასე უფრო ეფექტურები ვიქნებით მეთქი.

მეოთხე: რა დასამალია და ჩვენ ტანმალალი გუნდი არა ვართ. ჩვენი მეკარის დარტყმულს პირველი მოწინა- აღმდეგე გუნდი ეუფლება. იქნებ მიზანმიმართული გავ- ხადოთ ჩვენი მეკარის თავისუფალი დარტყმა. დაარტყას ყოველთვის მარჯვენა შორეულ კუთხეში, სადაც მარ- ჯვენა გარემარბი დაელოდება და პირველ რიგში ის მიწვდე-

ბა-მეთქი ბურთს.

მეხუთე: ძირითადად ვითამაშოთ თავდაცვითი ფეხბურთი. რა დასამალია და, ჩვენ რაკი რონალდუ, მესი, ნეიმარი და სუარესი არ გვყავს, შემტევი ფეხბურთი ჯერჯერობით არ გამოგვივა. ოღონდ, იმ ე.წ. თავდაცვით თამაშზე ეშმაკობა უნდა ვიხმაროთ; სიტყვაზე მაგალითად, ტაიმში ორჯერ მეთხუთმეტე ან ორმოცდამეერთე წუთზე მთელი გუნდი უნდა გადავიდეთ შეტევაზე, ამით მოწინააღმდეგე დავაბნოთ და ერთი ბურთი გავიტანოთ; მერე სწრაფად მოვბრუნდეთ უკან და ისევ თავდაცვითი ფეხბურთი გავაგრძელოთ მეთქი.

რომ დავამთავრე, დაცვარული შუბლი მაჯით მოვიწმინდე.

ვილაცამ გაიცინა, მარა უცებ მოსხიპა სიცილი.

- ა, კაცი... შენ აგაშენა ხერხაძე, ღმერთმა ლაპარაკა გუნდის მასაჟისტმა კუხიანიძემ.

- რავა ფიქრობ, შენ ახლა ხერხაძე, შენ იცი ეს ამბავი და ჩვენ არ ვიცი არცერთმა? – მთავარ მწრთენელს გამშრალი ხმა ჰქონდა.

- რავა არ იცით, ბატონო, თქვენ რომ იცით ფეხბურთის ცოდნა იმნაირი უნდა, მარა მეშვიდე მწრთენე- ლი გამევიცვალე მე პირადად აქანა და ვერ იქნა, წინ ვერ წვეინეთ. ერთ ადგილს ვტკეპნით, – ჩემი გაბედულობის მევე შემეშინდა.

- აბა, რო დაგვაყენე ბალის ბოვშეებივით და გვიკითხავ ნატაციას, რა შენი ჭკუის სასწავლებლები გვნახე, - მთავარი მწრთენელის სიტყვა უფრო განაჩენს ჰგავდა.

- ე, მაგან დაგვლუპა ჩვენ, მეტმა არაფერმა, ბატონო ბახვა, – ყველა მწრთენელი თავისას რო მიერეკება და არავის რჩევის გაგონება არ უნდა.

- რჩევა ადვილია. შესრულებაა, ხერხაძე, საქმე. კი, ბებიაშენისამ, მე გამოგივალ და მე ვითამაშებ ამ ხნის კაცი სტადიონზე!

მწრთენელი აშკარად გამწყრალი იყო.

თათბირი ამით დამთავრდა.

ერთი კვირის თავზე ჯერ შემცირებაში მომაცოლეს ხანდაზმული ხარო, მერე ორი თვის თავზე ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწრთენელად დამნიშნეს.

ახალგაზრდული ნაკრები ევროპის პირველობაზე წარმატებით ასპარეზობს. უკვე მესამე თამაში მოვიგეთ.

გამოსვლა მწერალთა XXVI ყრილობაზე

ძვირფასო მეგობრებო!

ბატონებო!
საქართველო ბუნების ხიდეზე გადის. ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ფრიად დრამატული ეპოქა დადგა. ილია ჭავჭავაძის დროც არ იყო ქართული ფენომენისთვის ისეთი მკაცრი, როგორც ჩვენი დროა. ქვეყანა უაღრესად აჭრელდა. პარტიებს შორის სიძულვილის ენამ დაისადგურა და სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები რუსთაველის ქვეყანას

სცენარზე მუშაობისას მომეცა საშუალება გადამეხედა ჩვენი მწერლობის მიერ განვლილი ისტორიული გზისათვის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მსოფლიოში თითქმის არცერთ ქვეყანას არა აქვს კულტურის ისეთი ოცსაუკუნოვანი მონოლითური, ერთიანი, ერთსულოვანი ხაზი, როგორც გააჩნია საქართველოს. სწორედ ამ ხაზის გამრუდებას გვიჩვენებ ჩვენი „კეთილმოსურნენი“



სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან ერთი იგავის პერსონაჟებით. ამიტომაც საჭიროა, როგორც არასდროს ერთ მუშტად შევიკრათ, რათა ჩვენი დამოუკიდებლობაც, როგორც სხვა დროს მომხდარა, უდღეური არ აღმოჩნდეს. საბოლოოდ გაირკვა, რომ არც რუსეთი და არც დასავლეთი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისკენ არ მოუწოდებს და არც დაეხმარება. ორივე მხარეს უნდა მათი მორჩილი, იმპერიული კანონების ერთგული საქართველო. რუსეთს ჩვენი ქვეყნის ნითელი იმპერიის სტომაქში დაბრუნება სურს, დასავლეთს კი ფსევდოლიბერალური ბანგით გაბრუნებული, მოჩვენებითი დემოკრატიით გათანგული, ლგბტ-ს და მსგავს უკუღმართობათა უსიტყვოდ მიძღვნილი საქართველო. საქართველოსთვის კი სულერთია მას მგელი შესჭამს თუ მგლისფერი ტურა. ჩვენ ეროვნული, ქართული სახელმწიფო უნდა ავაშენოთ და ბრძნული, ტრადიციული, დილაც, ქართული დიპლომატიით გავამაგროთ თამარისა და დავითის დიპლომატიით. რას ჰქვია ქართული დიპლომატია? დავით აღმაშენებელი პირველ რიგში ურთიერთობას ახლო მეზობლებთან არკვევდა. ჩვენ კი ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა არცერთი წარმომადგენელი არ გვყავს პარლამენტში. ნიჭიერი პროდიუსერის ბექას დაკვეთით ახლახან დავამთავრე თორმეტსუტიანი ფილმის სცენარი სახელწოდებით „მწერალი და ერის კირთება“.

გაუთავებელი ჭკუის რიგებით, ავადმყოფური ჩიჩინით, წაჯიკავებით, თითის ქნევით ერთის მხრივ და ისტორიული მიწების მიტაცებით, მცოცავი ოკუპაციით მეორეს მხრივ. და მაინც, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ქართული ფენომენი. დიდზე დიდია ახლა მწერლის როლი. ჩვენ საქართველო ეროვნული ღირებულებებისკენ უნდა შემოვბრუნდეთ. როგორც ყოველთვის, უნდა შევუძახოთ გადაგვარების მოსურნეთ, უნდა ჩავებლაუჭოთ ილიას ფორმულას: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ძნელზე ძნელია დღეს მწერლის მისიის შესრულება, როცა ჟურნალ-გაზეთები წაგვართვს და „ფეისბუქი“ შემოგვაჩერებს - ეს პუბლიცისტიკის „ნინიას ბალი“. თავის ღვთაებრივ, ეროვნულ ფიქრში მწერალი თავისუფალი უნდა იყოს. რას მიქვია, ცრუპოლიტიკური ქარბორიების აყოლა, რას მიქვია, ქარაქუცა მედროვეთათვის ფეხის აწყობა, მწერალმა თავის ყოველ სიტყვას, ყოველ სტრიქონს ფასი უნდა დასდოს. ნუ გეშინიათ, ჩვენ კვლავ რიდი და მოწინებთ გვისმენენ. პროგრესის და ცივილიზაციის მტრებზე გალაკტიონი ბრძანებდა: „შიშის ზარს სცემდა პოეზია უფრო მეტად, ვიდრე ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის“. ნება მომეცით, მწერლის ვალი მორის ფოცხიშვილის ლექსით მოგაგონოთ: „რწმენით იდგა, დარაჯობდა სამშობლოს, ცად ასწია უკვდავების ფარდა, პოეზიას არ ჰყოლია ბატონი, პოეზიას რუსთაველი ჰყავდა“.

ჩვენ დიდი ხანია ერთად არ შევეყრილვართ. ზოგი იმასაც აცხადებდა, ეგენი ყრილობას ვერ ჩაატარებენ, არავინ მივაო. მაგრამ ახლა ვუყურებ ამ სავსე დარბაზს, გული სიხარულით მეცხება, რომ ისევ ცოცხლობს ერთიანობის და ურთიერთმონატრების გრძნობა. ისევ ცოცხლობს და ვითარდება ქართული მწერლობა. მართალია, მკითხველი შემოგვაკლდა, შენობა წაგვართვეს, ტელეარხები იშვიათად გვიხმობენ, მაგრამ ნამდვილი მწერალი ისაა, ვინც უდაბურ კუნძულზე რომ დასვა, თუ სათქმელი გააჩნია, მაინც დაწერს.

აქ არიან მეგობრები ბათუმიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან, გორიდან, თელავიდან და ძირითადად კი - თბილისიდან. მე მათ მივინდებ მივმართო ჩვენი ორგანიზაციის წესდების შესახებ. მოგეხსენებათ, ყველა გაერთიანებას თავისი სამოქმედო წესი აქვს. მწერალთა კავშირის წესდება იცვლებოდა დროის შესაბამისად. სხვაგვარი იყო კომუნისტურ პერიოდში, სხვაგვარია ახლა. საფუძველი კი გახლავთ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შემოქმედებითი ორგანიზაციების შესახებ. ჩვენი წესდების პროექტში არცერთი ცვლილება არ არის შეტანილი. უცვლელია მწერალთა კავშირის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები, ხელმძღვანელობის შემადგენლობა და არჩევის წესი. თქვენ მას გაცნობილი ხართ - იგი დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“. თუ იქნება განსხვავებული წინადადებები - განვიხილოთ.

კიდევ ერთხელ მივესალმები ყრილობას და წარმატებებს ვუსურვებ ყოველ თქვენთაგანს!

სოსო სიგუა

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, ძალიან მიხარია თქვენი ნახვა! მე მოკლედ მოგახსენებთ უცხოეთთან ჩვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

უცხოეთის ქვეყნების მწერლებთან ურთიერთობის აღსადგენად მწერალთა კავშირში მომზადებული გვაქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომელთა განხორციელებაც ქართულ ლიტერატურას, ქართულ მწერლობას საზღვარგარეთ ღირსეულად წარმოაჩენს და მრავალ მეგობარს შესძენს!

ამის შესახებ შემოდგომიდან აქტიურად დავინყებთ მუშაობას კულტურის სამინისტროსთან და თბილისის მერიასთან.

პირველი, ეს არის ლიტერატურულ-კულტურული კონტაქტების აღდგენის პროექტი: - „მწერალთა და მთარგმნელთა ყოველწლიური ფესტივალი - კავკასიური მოზაიკა“, რომელიც კავკასიურ ხალხთა მწერლების გაცნობა-დამეგობრებას და მთარგმნელობითი კონტაქტების აღდგენას ითვალისწინებს. აქ პირველ რიგში იგულისხმებიან აფხაზები და ოსები, ასევე სომხები, აზერბაიჯანელები და, რა თქმა უნდა, სხვებიც... თუ სამეზობლოში ჩვენს მიმართ

კეთილმეზობლური ურთიერთობა არ დავამყარეთ, ამ გეოგრაფიულ არიალში, დამერწმუნეთ, სამომავლოდ ძალიან გაგვიჭირდება!

ერთიანი კავკასიური სახლის იდეაზე ჯერ კიდევ პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ოცნებობდა!

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სახალხო დიპლომატიით მწერლებმა უნდა გავაკეთოთ! ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ ამ საქმეში მხარი დაგვიჭიროს!

მეორე პროექტია: ქართულ-ებრაული ყოველწლიური ლიტერატურული ფესტივალის დაარსება, რაც ქართველებს ისა და ებრაელების 26 საუკუნოვანი მეგობრობის დაცვა და გაგრძელება იქნება! ფესტივალის მონაცვლეობით ჩატარდება საქართველოში და ისრაელში, მთავარია ისრაელში მშვიდობა დამყარდეს! ამის შესახებ ისრაელის მხარეს უკვე შევუთანხმდით!

ჩვენ, რამდენიმე წლის წინ, მწერალთა კავშირში პირველად ჩამოვყალიბეთ აზერბაიჯანული განყოფილება, რომლის თავმჯდომარედაც დავნიშნეთ ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, ჩვენი თანამემამულე და ქართული ლიტერატურის დიდი პროპაგანდისტი ალახვერდ თაქლალი.

ჩვენ ერთად დავაარსეთ ორი ლიტერატურული გამოცემა. განსაკუთრებული მონონებით სარგებლობს ქართულ-აზერბაიჯანული, ორენოვანი ჟურნალი „სხივი-შაფაგი“, რომელშიც ქართველი მწერლებ იბეჭდებიან აზერბაიჯანულად და აზერბაიჯანელები - ქართულად!

უკვე ითარგმნა ორივე ეროვნების 70 მწერალი.

ჟურნალში ქვეყნდება მასალები ქართული კულტურის, ისტორიის, მწერლობის შესახებ...

აგრეთვე, მწერალთა კავშირის ინიციატივით სომხურად გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელსაც დიდი გამოსხმარება მოჰყვა... ამ მიმართულებით მწერალთა კავშირის მუშაობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება!

და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ხელისუფლების, კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის კულტურის სამსახურის მხარდაჭერა აუცილებლად დაგვჭირდება, რომ უცხოეთის სხვა ქვეყნებშიც ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი კულტურა, მწერლობა!

ამ მხრივ სამაგალითოა მეზობელი აზერბაიჯანი, სადაც ხელისუფლება აფინანსებს მწერალთა კავშირს, მწერალთა კავშირის სამ ლიტერატურულ ჟურნალს, ლიტერატურულ გაზეთს. ამავე დროს მწერალთა კავშირის დამსახურებულ წევრებს 60 წლამდე ეძლევათ სტიპენდია 400 დოლარი, ხოლო 60 წელს ზევით - 800 დოლარი. თუ აზერბაიჯანის მაგალით ჩვენი ხელისუფლება გაიზიარებს, მაშინ ქართულ მწერლობას მართლა ეშველება!

გაუმარჯოს ქართულ მწერლობას, გაგიმარჯოთ თქვენ, მეგობრებო! წარმატებებს გისურვებთ, გმადლობთ!

ბალათერ არაბული

რევაზ მიშველაძე 15. VI. 2024 წ.

რევაზ მიშველაძის ახალი 600-გვერ-

დიანი წიგნი ბოლო წლებში ანუ იუბილი-

დან იუბილიმდე დაწერილი ნოველებისა

და წერილების კრებულია. იგი ერთი მხ-

რივ ავსებს იმ სამყაროს, რომელსაც დიდი

ხანია იცნობს მკითხველი, მეორე მხრივ

აჩვენებს ახალ ტენდენციებს.

წიგნი შესულია 23 ნოველი. ისტორი-

ულ-რეალური და შესაძლებელი. დოკუ-

მენტურობა მტკიცე საყრდენს აძლევს

თხრობას და მომეტებულად ზრდის ინ-

ამ ფრაზას მწერალი მარჯვედ იყენებს

და აჩვენებს, თუ როგორ ეწინააღმდეგება

მწერალი ეძებს სტალინის ბუნებაში

ისეთ თვისებებს, რაც მას ცალკეულ მო-

მენტებში გულისხმიერ პიროვნებად წარ-

მოგვიდგენს - „დები იშხნელები“.

სტალინმა ისურვა დები იშხნელების

სიმღერის მოსმენა. შემდეგ ისაუბრა. გაიხ-

სენა ქუთაისი. დებმა გაბედეს და სტალინს

სთხოვეს ძმისშვილის განთავისუფლება

ციხიდან, რაც მართლაც აღასრულა ბელ-

ადმა, ოღონდ 6 თვის შემდეგ.

მწერალი ისეთი დეტალებითა და ნი-

უანსებით ხატავს დები იშხნელების ცხ-

ოვრებას, რომ ჩვენს მესხიერებაში ღრ-

მად რჩება მათი დიალოგები და გიტარის

ბიბლიო-დებებიანი მამლის მსგავს ტომის

ბელადს, ათვლიერებს ისლით დახურულ

ქოხებს, ეცნობა აპაჩების ოინბაზობებს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ტურ-

ისტებისთვის დადგმული სპექტაკლი ყო-

ფილა („მაპიდო“) – „აი, თურმე, რატომ არ

ისმოდა სოფელ მაპიდოში ბაღის ტირილი,

ძალის ყეფა და მამლის ყვილი“, რაც ნამ-

დვილი ცხოვრების ნიშნებია.

ეს ბუტაფორია შორეულ ამერიკაშია.

მაგრამ თურმე ჩვენთანაც იდგება მს-

გავსი სპექტაკლები, იდგება, როგორც

რეალობის სურათი და აქ მთავარ როლს

პრეზიდენტი თამაშობს, რომელიც ხალხის

თეატრში და როლი ათამაშეს. ლადო მესხ-

იშვილს მოეწონა ახალგაზრდა და მას შემ-

დეგ გვერდიდან არ იცილებდა.

კუკა მიროტაძე შემთხვევით აღმოჩნ-

და კუბაში წამსვლელ მოკრივეთა ნაკრებ-

ში. იქ კი დააჯახეს მსოფლიო ჩემპიონს,

რომელსაც 45 ბრძოლა ჰქონდა ნოკაუ-

ტით მოგებული. იმარჯვა ქუთაისელმა

კუკამ და მისდა გასაოცრად დაამარცხა

ეს ენოტისმსგავსი ცხოველი!

ხოლო ჰონორარი მშვიდობის ფონდში

გადარიცხა, გამოაცხადა საქართველოს

რადიომ.

დეტალების სიზუსტით, მასალის ცოდ-


ნით, სადა და ლაკონური მეტყველებით,

თხელი აზრებით, რომელთა აღქმა აოც-

ებს მკითხველს. რევაზ მიშველაძე გვაც-

ნობს თავის პერსონაჟებით, პრობლე-

შავი ყუთის ალბომია



„...დაიხ, ეს წიგნი „შავი ყუთის“ მოვალეობას

გასაბრძოლებლად მიდის გელათში და ფიცს

დებს დავით აღმაშენებლის საფლავთან

(„დაფიცება აღმაშენებლის საფლავთან“).

ხაზგასმულია სააკაშვილის მოძრაო-

ბის სპეციფიკური ნიშანი - შემოვარდა,

მივარდა, წამოვარდა, გაიქცა.

რეზო ჭეიშვილმა და ოტია იოსელიან-

მა ვერც მოასწრეს პრეზიდენტისთვის



ნიკოლოზ კურტანიძე - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ივლიანეს ძე კურტანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ბატონო ნიკოლოზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ კოლორიტულ წევრს, სათნოებით და კეთილშობილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ფართო საზოგადოებრიობა თქვენ გიცნობთ, როგორც ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან წარმომადგენელს, ელექტრობის ჩინებულ სპეციალისტსა და გამოთვლითი ცენტრის დახელოვნებულ პროგრამისტს, რომელმაც მისი ცხოვრების საუკეთესო ათწლეულები ქუთაისის საავტომობილო ქარხნის წინსვლასა და განვითარებას შეაღწია. სწორედ ეს ქარხანა იქცა თქვენთვის საჯილდო ქვად, სწორედ ამ ქარხანაში განვლეთ სახელოვანი გზა რიგითი თანამშრომლიდან ქარხნის დირექტორის მოადგილეობამდე. ბოლო წლებმა კარდინალურად შეცვალა თვენი სამოღვაწეო პროფილი და ახლა ქართველი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგახართ, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ფარმაკოლოგიური კომპანიის ხელმძღვანელთაგანი.

ამიტომაცაა ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისათვის, ძალზე სასიამოვნო იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ასე დაკავებულმა, უამრავი საზრუნავით სავსე პიროვნებამ საკუთარი ძალები სამწერლო ასპარეზზეც მოსინჯა და აქაც წარმატებას მიაღწია, თანაც მწერლობის ისეთ ურთულეს ჟანრებში, როგორც პოეზია და პროზა...

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1988 წელს გადადგით, როცა გაზეთ „ქუთისში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სიმღერა ქუთაისზე“. მას შემდეგ თქვენი პროზაული თუ პოეტური ტექსტები პერიოდულად ქვეყნდება

ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველესად, გიცნობთ, როგორც ჩინებულ ლირიკოსს, რომელმაც შესძლო საკუთარ სულში აღმოეჩინა ის უმშვენიერესი ყვავილის ყლორტი, პოეზია რომ ჰქვია სახელად და ძალუძს გადაგვაინყოს ყველა და ყველაფერი და ლექსის თვბრუდამხვევ მორევში მოგვიჩინოს ნავსაყუდელი.

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორცაა „ერთი სიცოცხლის სამი პირობა“, „სიცოცხლე გრძელდება“, „თუ ყოველ დილას კვლავ ვიბადები“, „თვალსაწიერი“, „ველარ დამღლის სიძნელე და აღმართები“, „ტაძართან სული ამალდა“, „საქართველოს სიყვარული გაგვეხადოს წესად“, „არაფერზე არ მწამს ფიცი, შენზე ფიცის გარდა“, „გულწრფელი ფიქრები“, „სიყვარულის ბილიკებზე“, „სიყვარულით აკინძული რითმები“ და სხვა სათქმელის ნათლად და ხატოვნად გამოთქმის უნარით, გულწრფელობითა და სისადავით გამოირჩევა. ამ კრებულებში დავანებებული ლექსების ლირიკული გმირი ქედუხრელი პილიგრიმია, რომელიც ამაყად დააბიჯებს მისი უმშვენიერესი მამულის სანახებში და ეფერება მის თითოეულ კუთხე-კუნჭულს, მის მთასა და ბარს, ოცნებების კალოს ლენავს და ზმანებებში მშობლიური სოფლის სამანებს, მის მინდორ-ველებს, მის სურნელსა და ანდამატს ელოლიავება; სამშობლოს ლაყვარდებს ავად მომდგარი შავი ღრუბლები გულზე ტყვიისფერ დარდად ედება. გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ იღვევა შაგრენის ტყავივით მისი საესავი ამერ-იმერი, როგორ იჟანგება მამაპაპეული ხმალი და ფარი, როგორ კნინდება დედასავით ტკბილი მშობლიური ენა. თუმცა იმასაც ხედავს, როგორ აჩუქურთმებს წინაპართა ცრემლი საქართველოს ისტორიას უკვე სინმინდედად ქცეულ ვარძიის ვეება ლოდებზე, როგორ ტვიფრავს მატთანეს ჩვენი მონამებრივი არსებობისა...

ამ ორიოდე წლის წინ გამოიცა თქვენი მრავალმხრივ საინტერესო ბიოგრაფიული რომანი „გზა ცხოვრებისა ღვთისგან კურთხეული“ ოთხტომად. ეს ნაწარმოები დოკუმენტური რომანის ჟანრს განეკუთვნება და თვალნათელი მაგალითია იმისა, ყველაზე მძიმე გამოცდის, ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი როგორ უნდა დარჩე ღირსებით სავსე პიროვნებად და, უპირველეს ყოვლისა, როგორ უნდა იზრუნო საკუთარი სულის გადარჩენაზე...

თქვენი მრავალწლიანი სამწერლო თუ საზოგადოებრივი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები, დაჯილდოებული

ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის მადლიერების დიპლომითა და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო ნოდებებით, არჩეული ხართ საჩხერის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო ნიკოლოზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ნიკო,

სამი ათეული წლის წინათ, რაც ორმოცდაათის გახდი, ყოველ საიუბილეო თარიღს გილოცავ ხოლმე, გადავხედე ახლა ამ მილოცვებს და ერთმანეთს მხოლოდ იმით ჰგვანან, რომ ყოველთვის მჯეროდა შენი მართალი კაცობის, შენი ფხიანი კალმის და მამულის სიყვარულის იმ განუზომელი ძალისხმევის, რითაც ასე გამორჩეული ხარ.

რა ჩქარა გავიდა წლები და რა ღირსეულად წელგამართულად განვლე შენი გზასავალი.

ესეც ოთხმოცი.

არ შეგეშინდეს, ოთხმოცისა შენ არაფერი გეტყობა.

სულ ახლახან შენი პოეტური მემუარების ოთხტომეულმა „გზა ცხოვრებისა ღვთისგან არჩეული“ მთელი საქართველო აალაპარაკა არა მარტო ჟანრული სიახლით და მხატვრული ორიგინალურობით, არამედ იმ სოციალური პრობლემებითაც, ასე ძალუძდა რომ გაასაჯაროვე შენი ძლიერი მეხსიერების სალაროდან.

ყველაფერი გახსოვს, ყოველ ნაბიჯს განსჯის ქურაში ატარებ და მომავალ თაობებს კაცური კაცობის გაკვეთილებად უტოვებ.

ბევრი გაჯანჯლარა, მაგრამ ვერ გაგტეხა, ვერ დაგლალა ცხოვრებამ, ტელეფონზე ძველებურად მკვირცხლად მპასუხობ და მოყვასის საშველად ნიადგა მზად ხარ.

შენ შენი ალალი შრომით მოიპოვე პური შენი არსობისა და შეგეძლო დარჩენილი წლები მშვიდად გაგეტარებინა, მაგრამ „აუტკივარი თავის პოლიტიკას“ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ცხოვრების შუაგულში ტრიალი არჩიე. კვლავაც ძალუძდა მოქმედებ საზოგადო აზრზე, კვლავაც მომავლის ბედზე შფოთავ და სწუხხარ:.

გაუცხოებულს მივდექ ქარაფებს, მშობლიურ მიწის გოდებას ვისმენ, არა გთხოვ, ღმერთო, მეტს აღარაფერს,

ქართული სული წარღვნისგან იხსენ!

ხანდახან მეც კი შემეშინდება ხოლმე „მწერლის გაზეთში“ ისეთ ლექსს გამომიგზავნი დენტის სიტყვიერი მუხტით რომ ფეთქავს, მაგრამ რო-

გორ დაგიშლი, ეს ხომ შენი სტილია, შენი უკიდევანო სიმამაცის ნაყოფია.

უკანდახევა არ გჩვევია.

შენგან ქვეყანა მხოლოდ სიმართლეს და ომახიან შეძახილს ელის.

ამიტომაც დაგაჯილდოვეთ დაბადების 80 წლის საიუბილეოდ საქართველოს მწერალთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი: ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით და ოქროს ორდენით.

გაიხარე, იმზეგრძელე, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

რევაზ მიშველაძე

ბატონო ნიკოლოზ!

საიუბილეო თარიღს გილოცავთ, გილოცავთ იმ წარმატებებს, რასაც მიაღწიეთ ცხოვრების გზაზე და შემოქმედების სფეროში.

მე სხვა დროსაც შევხმინებოვარ თქვენს ნაწერებს, მაგრამ ბოლო წლებში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა თქვენი შემოქმედება. ვგულისხმობ მემუარების ოთხტომეულს, დაწერილს პროზად და ლექსად, რომელიც მე დიდი ყურადღებით წავიკითხე.

თქვენ ქართული ტრადიციების ერთგული შემოქმედი ბრძანდებით, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ქართული სიტყვა, ოჯახური გარემო, მეგობართა და ახლობელთა წრე.

თქვენი ცხოვრების გზა მართლაც ღვთისაგან კურთხეულია, რაც ასე ჩინებულად გაგვაცანით.

როგორც მორჩა თქვენს გულზე ჭრილობა, ისე მორჩენოდეს ჩვენს სამშობლოს იარები, რომლის განკურნებას საქმით და სიტყვით ემსახურებით.

იხარეთ! იდღეგრძელეთ!

სოსო სიგუა

შულოცავთ!

შესანიშნავ პიროვნებას, პოეტს, მოღვაწეს, ქველმოქმედს, ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეს 80 წელი შეუსრულდა!

ბატონმა ნიკოლოზმა მთელი ცხოვრება ღირსეულად გამოიარა. ის ლექსით, საქმით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით ყოველთვის სამაგალითოდ წარმოაჩენდა თავის გვარს, ოჯახს და ყველაფერს აკეთებდა ახალი საქართველოს მშენებლობაში...

ბატონი ნიკოლოზი დღესაც თავისი გამორჩეული პატრიოტული პოეზიით სიკეთეს და სიყვარულს ემსახურება და ახალგაზრდული ენერჯით მხარს უმშვენივს თავის კოლეგებს.

ვუსურვებთ ბატონ ნიკოლოზს დღეგრძელობას, მზეგრძელობას, სიხარულს, სიკეთეს და ახალ-ახალ წარმატებებს თავის ლამაზ ოჯახთან და სასახელო მონაგართან ერთად!

ბადათერ არაბული

ისმინეთ ყველამ

გული მიკვდება, როცა თბილისში ჩავივლი და...

„სიძველისადმი გრძობა, პატივი თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს, მიხვდები, ასე ანდამაცივით რისთვის ვდარაჯობ თბილისს კარებს“, - წერდა თბილისის უპირველესი ტრუბადური იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც სიყრმის ასაკიდან ვიცნობდი. ჩემი აზრით, თბილისის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი ადამიანი და, აქედან გამომდინარე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა უნდა იყოს.

მაგრამ ამ თანამედროვე თბილისის შემხედვარეს შთაბეჭდილება მრჩება, რომ XIX-XX საუკუნეების დროინდელი არაქართული ქალაქის თავები უფრო ზრუნავდნენ თბილისის იერსახეზე, არქიტექტურაზე, მის განაშენიანებაზე, გამწვანებაზე, თუნდაც სისუფთავეზე, ვიდრე დღეს ზრუნავენ, რისი დასტურიც არის ჩემს დროს პლენარზე - დღევანდელ აღმასწავლებელზე და რუსთაველის გამზირზე არსებული შენობა-ნაგებობები, სოლოლაკის თუ ვერეს, ვორონცოვის ძველი უბნები, ფუნიკულიორი და ა. შ.

ჩემთვის, როგორც პროფესიონალი მშენებლისთვის, მიუღებელი და გაუგებარი იყო ნინო ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული განუკითხაობა, როდესაც არქიტექტორიც, მშენებელიც და მხატვარიც „სურთ-მოდლვარი“ სააკაშვილი იყო. ავტორიტარიზმის პერიოდში სამშენებლო წესებისა და ნორმების უგულვებელყოფა დამკვიდრდა... საუბედუროდ, ამ მხრივ დღესაც ბევრი არაფერი შეცვლილა...

გამგებობები ნებისმიერ უკანონობაზე იძლევიან ნებართვებს: აშენება იქნება ეს, მიშენება, დაშენება, ჩაშენება, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია თუ დანგრევა. აბსოლუტურად იგნორირებულია არქიტექტორული თუ მშენებლობის ხარისხის კონტროლი. არადა, ეს ყველაფერი იმ „ავადლასხენებელი“ კომუნისტების დროსაც კი იყო. „არქიმშენკონტროლი“, უწყება, სადაც, როგორც წესი, უმნიშვნელო რეპუტაციის ხალხი მუშაობდა და, ამდენად, ერთამით თუ ნაცნობობით რაიმე უკანონობის დაკანონება პრაქტიკულად გამოსიცილებული იყო!

დღეს სრული განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა სუფევს.

ნახეთ, რა ხდება ვერესე, ვაკეში, ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ისე მიჯრით არის აშენებული, რომ აივანზე ყავის დაღვეისას მეზობელი თავისი აივანიდან კოვზით შენს ჭიქაში შაქარს მოურევს - აი, ასეთი „სიამტკბილობა“ დაგვიმკვიდრეს მშენებლობებზე ნებართვების გამცემებმა.

არც იმას დაგიძვინძვებს ვინმე, რომ ახალი მრავალსართულიანი შენობების გამო მოძველებული გარე კომუნიკაციები გადატვირთვას ვერ უძლებს და ხშირად ზიანდება.

რას დაამსავსებს ვაკის პარკი, მუშთაიდის ბაღი, იპოდრომი, ლისისა და კუს ტის შემოგარენი... თბილისის ზღვის სანაპირო ნაგავსაყრელად აქციეს. გაჩხეს მრავალნაირი მწვანე ნარგავები და რესტორნები, ოფისები, სახინკლე-სამაურმეები და რა აღარ ჩადგეს ამ ერთ დროს მოქალაქეთა კულტურული დასვენების კერები.

თბილისის ზღვა - ნებისმიერი ქვეყნის ბევრი დედაქალაქი ინატრებდა მსგავს მშენიერ ხელოვნურ წყალსაცავს. თბილისის ზღვაზე იყო არაჩვეულებრივი ელინგი (ნავების სადგომი, გნებათ, ანგარი), სადაც დავედი იყნაშვილის მემორიალს დროს იალქიან ნავებზე, კანონზე, ზაფხონი და აკადემიურ ნიჩბოსნობაზე, სპორტის ამ ვაჟკაცურ და ლამაზ სახეობაზე. წყალი იმდენად სუფთა-კამკამა იყო, რომ პირდაპირ ნავებიდან ვსვამდით, სანყალოსნო სპორტი ყვავდა მთელ საქართველოში (თბილისი, მცხეთა, ბათუმი, სოხუმი, ფოთი). დღეს მსგავსი აღარაფერია და, რაც მთავარია, თბილისის ზღვამ დაკარგა მასობრივი დასვენების კერის ფუნქცია! მის შემოგარენში, ვისაც სად მოეუფლება, აშენებს უსახურ საცხოვრებელ სახლებს, გაუგონარ მახინჯ ნაგებობებს. იმავეს თქმა შეიძლება მტკვარზე, სადაც ასევე იყო მშენიერი ელინგი ორთაქალაქში და თბილისის ზღვის დელვის დროს მტკვარზე ვვარჯიშობდით. დღეს, იმის მაგივრად, რომ ტურისტები და თბილისელები დასეირნობდნენ ლამაზი, თანამედროვე კატარებით. სამუშაოდ, ფსევდოევროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ მტკვარი და მისი კალაპოტი ანტისანიტარიის კერად აქციეს და, როგორც თბილისის ზღვაზე, ასევე მტკვარზე ორ-

თაქალაში ელინგები გაანადგურეს, სანყლოსნო სპორტი საქართველოში ჩაკლეს და ტურისტებს სთავაზობენ თვითნაკეთი, არაკომფორტული, უსახური „ლოდჯებით“ გასეირნებას, რაც სირცხვილია ჩვენი დედაქალაქისთვის. მტკვრის სანაპიროს განათება სავალალოდ გამოიყურება და საერთოდ, მტკვრის კალაპოტსა და მის ორივე სანაპიროს ყურადღებას არ აქცევენ, საშინლად დანაგვიანებულია. ქალაქში მრავალი ფეკალური კანალიზაციის ჭა დაზიანებულია. იღვრება სიბინძურე. არავინ არ ფიქრობს მათ მოწესრიგებაზე. საცხოვრებელი სახლების სრულყოფილად ექსპლუატაციაში ჩაბარების საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა, უმნიშვნელოვანესი მშენებარე ობიექტები თვეობით (ნლობითაც) შეჩერებულია, გაუგებარი მიზეზების გამო. მათი დაკონსერვება აუცილებელია. ვერაფრით ანტისანიტარიული კერები დედაქალაქის ცენტრში ვერ მოგვიშორებია (ვირიკის უკან, სანაპიროზე, უზარმაზარი ჭაობი ნღების მანძილზე. მის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს); არადა, უამრავი პრობლემა დედაქალაქში მოსაგვარებელი. იქნებ გავცეცს პასუხი კახამ, რატომ არ უზრუნებს მწერლებს თავიანთი კუთვნილ შენობას მანძილის ქუჩაზე?

და კიდევ - ბუნებრივი ქვით მშენიერად მოპირკეთებულ ფსადაებზე, ნინასაარჩევნო პლაკატებით დაწყებული, რას აღარ აკრავენ: განცხადებებს - კარატეს, ინგლისურის, მუსიკის, ცეკვის შესწავლის, რბილი ავეჯის მწარმოებლის, კომპიუტერისა და მობილურის შეკეთების და სხვა მრავალი მსგავსი შესახებ. გარდა ამისა, მშენიერი ფსადაები აჭრელეულია ფერადი საღებავებით შესრულებული ათასგვარი უსახური წარწერითა და ნახატით. თურმე ამგვარი ე. წ. არტთერაპია ახალგაზრდებს ფსიქოლოგიურ განვითარებაში უწყობს ხელს. ამ უნიჭო მკვლანელებმა შენობა-ნაგებობების ფსადაები რას დაამსავსეს! არადა, წესით ასეთი თავხედობისთვის დანესებული უნდა იყოს მალალი ჯარიმები, ამოღებული თანხა კი დამახინჯებელი ფსადაების განმწმობა-მონესრიგებას ხმარებოდეს.

ბოლო დროს თბილისის გამწვანება მიმდინარეობს იმპორტული ძვირად ღირებული ნარგავებით, რაც ძალიან კარგია. მაგრამ დედაქალაქში ტექნიკური წყლის სისტემების არარსებობის გამო ნერგები, სამწუხაროდ, იშვიათად ირწყვება და ისიც სასმელი წყლით, რის ნაკლებობასაც ისედაც განიცდის დედაქალაქი და ამიტომ თბილისში „ხეები ზეზუღლად კვდებიან“... არადა, მტკვრის წყლის რესურსით დედაქალაქში ასეთი სისტემის გაკეთება და ფუნქციონირება სავსებით რეალურია! გამწვანება უსისტემოდ მიმდინარეობს, ბუჩქები ისე ახლთა ერთმანეთთან დარგული, რომ ერთმანეთს ანუხებენ, ვერ იზრდებიან, ნარგავების ფორმირება არ ხდება, გამწვანებას უნდა აკეთებდნენ გამოცდილი პროფესიონალები, მაგრამ ამისთვის არც მერია და არც გამგეობას არ სცალიათ. გამწვანება დაავადებულ ნარგავებს არავინ არ აქცევს ყურადღებას, ვიმეორებ „ხეები ზეზუღლად კვდებიან“. თბილისის სასმელი წყლის სათავე ტერიტორია საგურამოში გაპარტახებულია; ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქალაქის გარე განათება, შენობა-ნაგებობებზე, განათების ანძებზე, ხეებზე ჩამოკონსერვებული უამრავი ელექტრომავთელი, რომლებიც ამხინჯვებენ დედაქალაქის იერსახეს. განა უშუალოდ მერიას და მისი უწყებების მოსაგვარებელი არ არის ეს საკითხი? რას ჰგავს ელექტროქვესადგურები და მათი შემოგარენი - ჩამავებულ-დაბინძურებული შენობები და მათეფილსარტები!

გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებმა ბარბაროსულად დაანგრეს კავკასიის მეფისნაცვლის, მთავარსარდლისა და გენერალ-გუბერნატორის მიხეილ ვორონცოვის უნიკალური ძეგლი, რომელიც თბილისელებმა 1867 წელს დიდი ზარ-ზეიმით აღმართეს. საგულისხმოა, რომ ძეგლს მოქალაქეები უმეტესწილად იმავე უბნებში მცხოვრები ქალები დარაჯობდნენ, სადღეღამისო მორიგობად კი დაანესეს, რომ დანგრევისგან გადაეკრინათ. თუმცა ბოლშევიკებმა ისარგებლეს საშინელი უამინდობით და ძეგლი მამინ აიღეს, როცა მისი დაცვა შესუსტებული იყო.

მიხეილ ვორონცოვის ინიციატივითა და მხარდაჭერით თბილისში აღდგა ქართული თეატრი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიის მუზეუმი, გამოვიდა სალიტერატურ-

ო ქურნალი „ცისკარი“, ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სავალდებულო სწავლებამ (მათ შორის, არაქართველთა და იმ სამხედრო პირთა შვილებისათვის, რომლებიც მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში); ახალგაზრდებისთვის ხაზინის ხარჯზე დაწესდა 160 სტიპენდია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად; გაიხსნა გიმნაზიები თბილისსა და ქუთაისში, მთელი საქართველოს მასშტაბით კი - სკოლები, მიხეილ ვორონცოვმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქალთა განათლებაზე, რისთვისაც თბილისსა და ქუთაისში დააფუძნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და რეალური შინაარსი და ფუნქცია შესძინა თბილისშივე 1840 წელს დაარსებულ „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტს“... მეფისნაცვლის სახელს კიდევ მრავალი სამხედრო-მედიკალური უკავშირდება. მიხეილ ვორონცოვი კავკასიის 10 წელი მართავდა, 1844-1854 წლებში. მისი მამა, სემიონ ვორონცოვი 20 წლის მანძილზე იყო რუსეთის საგანგებო და სრულყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში, ხოლო მამიდა, ეკატერინა დაშკოვა - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი. ასეთი მოამაგის ძეგლი ააფეთქეს და აღგავეს პირისაგან მინისა უმადურმა ბოლშევიკებმა.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, 1905-1915 წლებში კავკასიის მეფისნაცვლი იყო გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, კავალიერის გენერალი. მისი მმართველობის დროს თბილისში აშენდა გვირაბი, რომელმაც ბოტანიკური ბაღი ქალაქთან დააკავშირა, გაიხსნა ახლბაშვილის სახელობის სახალხო სახლი (ახლანდელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), ზავუნთა საავადმყოფო და თბილისის ელექტროსადგური. ყოველივე ამის გამო თბილისის სათათბირომ 1913 წელს იგი სრულიად სამართლიანად აირჩია დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ.

ახლა ვორონცოვის ძეგლს რაღა ეშველება, მაგრამ რა უფუთ ნაციონალების არანაკლებ უკეთურობას, როდესაც საქართველოს უდიდესი მონარქის, დავით აღმაშენებლის ძეგლი გააძევეს თბილისის ცენტრიდან, რითაც შეურაცხველი მონუმენტის გენიალური ავტორი მერაბ ბერძენიშვილი და სულში ჩააფურთხეს საზოგადოებას! ამიტომ აუცილებელია სასწრაფოდ დაბრუნდეს დავით აღმაშენებლის უსახური ძეგლი, გმირთა მოედანზე კი მოხდეს ფალოსის მსგავსი სვეტის დემონტაჟი!

სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ მავანის დაპატიმრება არ გახლავთ. ჰოდა, სამართლიანობის აღდგენა იქნება ველოსიპედის „ძეგლის“ მოშორება და აღმაშენებლის თავის ადგილზე დაბრუნება. მაგრამ უნიათონი განა აღირსებენ ხალხს სამართლიანობის აღდგენას?! რამდენადაც ვიცი, როცა რევალ მიშველადე თბილისის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ყოველ სხდომაზე მოითხოვდა „ველოსიპედის ძეგლის“ აღებას, მაგრამ მერმა ნარმანიაშვილი არ შეიტერება!

გული მიკვდება, როდესაც რუსთაველზე ჩავივლი და იავარქმნილ „ლალიძეს“ ვხედავ - თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული მშენიერი დარბაზის ნაცვლად, რომელსაც მრავალი დიდი ქართველისა თუ ქართველთა სასიქადლო სტუმრების სტუმრობა ახსოვდა. მეორადი ძონძების მალაზია, ხოლო ქვემოთ სარდაფი, სადაც უგემრიელეს აჭარულ ხაჭაპურს დაგემოვნებდით, ნავიტი გაუფსა ვილაც უკეთურს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თბილისის მერიამ ახალი მესაკუთრისგან უნდა გამოისყიდოს ობიექტი და დაუბრუნოს მას საუკუნოვანი ფუნქცია, რადგან „ლალიძის წყლები“, უპირველესად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და თბილისის სავიზიტო ბარათი იყო, სადაც სიამაყით მიგვავადა სტუმარი, როგორც მცხეთის ჯვარზე, სვეტიცხოველში ან გელათში.


თუმცა, „ლალიძის“ შემოგარენი და „გოლოვისნიკი“ ხომ თბილისელების სეირნობის, შეყვარებულთა პაემნების ტრადიციული ადგილი იყო.

დედაქალაქის მერს ურთულესი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი და ყველა მიმართულებით ზღვა სამუშაო აქვს, რასაც მხოლოდ გამოცდილ პროფესიონალებზე დაყრდნობით შეძლებს, რომელთა ნაკლებობა ნამდვილად არ განიცდის თბილისი. დედაქალაქისათვის საჭირობოროტო საკითხ-

ები ფართო საზოგადოების განხილვის გარეშე არ უნდა გადაწყდეს და კონკრეტული საქმის გასაკეთებელი ტენდერები ღიად, კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს, საზოგადოების ავტორიტეტულ წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სასურველია, მერს ჰყავდეს მოადგილე, რომელიც მხოლოდ არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებით იქნება დაკავებული. ჩვენ, საბედნიეროდ გვყავს შესანიშნავი არქიტექტორები და მშენებლები, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ამ დარგის უცხოელ სპეციალისტებს არც გამოცდილებით და არც პროფესიონალიზმით.

თბილისის მერი არ უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურა და რომელიმე პარტიის ინტერესებს არ უნდა გამოხატავდეს. უნდა იყოს კარგი მეურნე, მენეჯერი, ქველი, დღენიდაც ფიქრობდეს დედაქალაქის განვითარებაზე და ილწვოდეს მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის.



ურიგო არ იქნება, ალდგეს საზოგადოება „თბილისელიც“ - ერთ დროს ეს საზოგადოება ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა, რომელთა მონაწილე მეც გახლდით.

1965 წლიდან ვმოგზაურობ. მსოფლიოს 53 ქვეყანაში ვარ ნაწყვილი და ყველგან 5-6 დღის შემდეგ ისეთი ნოსტალგია მომეძალევა ხოლმე, რომ ერთი სული მაქვს, როდის დავგამ მშობლიური თბილისის მიწაზე ფეხს.

ძირძველ თბილისელს მიყვარს და მტკიცეა ჩემი ქალაქი, სადაც დავიბადე, ვავიზარდე, ვისწავლე, ვიმეორე, სადაც უკვე რვა ათეულ წელზე მეტია ვცხოვრობ და როცა იქნება აქვე მინდა სამუდამო განსასვენებელი ვიპოვო!

წინამდებარე წერილიც ამ ნოსტალგიის, ტყვიანობის და ფიქრის გამოძახილია...

მენტრება ის თბილისი, როდესაც ვაკიდან თავისუფლების მოედანამდე ყოველ საღამოს დასეირნობდა დედაქალაქის რჩეული, ლამაზად გამოპრანჭული საზოგადოება - მწერლები, მსახიობები, პოეტები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები, არქიტექტორები და საერთოდ, რიგითი მოქალაქეები მუშუღელებით, მეგობრებით, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, ხარობდნენ.

„ლალიძის წყლებს“ გულგრილად ვერ ჩაუვლიდნენ, აუცილებლად სტუმრობდნენ. მერე მიაშურებდნენ ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, მუსკომელიისა და პანტომიმის თეატრებს, ფილარმონიას და კინოდარბაზებს...

ჩვენ, ახალგაზრდები, სიამოვნებით და აღტაცებით შეყურებით მათ, მოგვწონდა მათი ქვეყნისა და საუბრის მანერები, ჩაცმის სტილი, ვამაყობდით, თუ რომელიმე მათგანი გვიცნობდა და მოგვესალმებოდა.

ეს სილამაზისა და მშენიერების, ურთიერთობის სიყვარულის, მოკრძალებული ურთიერთობის და სიყვარულის ზემო იყო. სამწუხაროდ, ის ბედნიერი, სასიამოვნო, ამალლებელი განცდა-განწყობა არასოდეს არ დაბრუნდება.

მამინ ხომ არც ტელევიზორი, არც კომპიუტერი, არც მობილური არ არსებობდა და მსუბუქი ავტომანქანებიც ძალიან ცოტა იყო თბილისში, მაგრამ ამ პროგრესული ტექნიკის უქონლობა ადამიანები აბსოლუტურად არ განიცდიდნენ.

ნუთუ არ გვეღრმობდა რუსთაველის პროსპექტზე „რუსთაველის სახლი“?

ამასაც ამერიკის ნებართვა სჭირდება?

ესეც არ იყო, მოსათმენია თბილისში ციხეში მჯდომი დამნაშავენი, მიხეილ სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა?

რა ვქნა, გნებათ გამკიცხეთ, არ მომსტანებდნენ თბილისის ქუჩები პაკისტანელებით, ინდოელებით, ირანელებით, თურქებით, ჩინელებით და ათასი რჯულის უცხოელთა რომ გადაივსოს. „ევროფობიისგან“ ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ „სტუმრიანობაშიც“ ზომიერების მომხრე ვარ.

ვისაც მოგწონს, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ჩემო ბატონო!

ომარ მარგველაშვილი
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.



დავით თედორაძე - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით თედორაძის ცხელი რეფიკის ძე თედორაძის ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო დავით!

თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი უღირსეულესი მებაიარახტრე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, მოღვაწეს, პიროვნებას და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირე რიცხვიდან გუნდს განეკუთვნებით, რომელიც აჭარაში - საქართველოს ამ უძველეს, უმშვენიერეს, მრავალჭინახად კუთხეში მოღვაწეობს და მეციხოვნედ უდგას ქართულ სიტყვას, ქართულ სულიერებას, ქართულ სიმინდებს, იმ წმინდათანმიდებულ ტრადიციებს, დღევანდლამდე რომ მოიყვანა ჩვენი საესავო ქვეყანა. ვისაც საქართველო უყვარს, მე მასთან ვარ ჩემი აჭარელი ძმებით, ნერდა დიდი მემედ აბაშიძე და თქვენი ხომ ერთ-ერთი უპირველესი მოიაზრებთ იმ აჭარელ ძმებში, სხალ-ამოლებულნი რომ იცავენ იმ კუთხეს საქართველოსა, საიდანაც პირველად შემოანათა ქრისტიანობის ნათელი.

თქვენი სამწერლო კურთხევა 1972 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ჭოროხში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები, რომლებმაც პოეტების ქვეყანას კიდევ ერთი ჭეშმარიტი შემოქმედის დაბადება ამცნო.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორცაა „ბუნების ხიდი“, „ცეცხლის პერანგი“, „მზე ჩუქურთმებში“, „შენი ვარ“, „და მიდის ნუთი-სოფელი“, ერთტომეული, „ორლანი უკრავს“, „სხოვნის ჩირალდნები“, რჩეული, „მომავლისთვის, წინაპარისთვის“, „მელაპარაკე ქართულად“, „მე აქ ვბინადრობ“ და სხვებმა ღირსეული ადგილი დაიკავე ქართული პოეზიის საგანძურში. ეს კი განაპირობა თქვენმა პოეტურმა ძალმოსილებამ, სინატიფემ, გულწრფელობამ, ძიების დაუოკებელმა ნყურვილმა. თქვენი პოეზია ბედისწერასთან მებრძოლი შემოქმედის სულის ნაჟურია და ესეც განუმეორებელ ხიბლსა და პუნს მატებს მას. თქვენი პოეზიის ღირსეულ გმირს მკერდი სამშობლოს იარებით აქვს დასერილი და სწორედ ამითაა ბედნიერი და კიდევ იმით, რომ არასოდეს დაუღვია ზავი სიბილწესთან, არაკაცობასთან, ბოროტებასთან; მზადაა ბერი თევდორესავით ჩაკვიროს იმ დიდებულ გალავანს, ივერთა მინის უკვდავება რომ ჰქვია სახელად...
თქვენს კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი კრებული „სხოვნის ჩირალდნები“,

რომელშიც განთავსდა თვენი მოთხრობები, ლიტერატურული წერილები და პუბლიცისტური სტატიები.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე, დაივანა ისეთ მნიშვნელოვან ანთოლოგიებში, როგორცაა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია, ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული, ანთოლოგია „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“.

საგულისხმოა, რომ თქვენს შემოქმედებაზე არაერთი საყურადღებო წერილია გამოქვეყნებული, მათ შორის გამოირჩევა მკვლევარ თინათინ შიომშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „შენ ხარ მგოსანი“...

ათწლეულებია, რაც უაღრესად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ვწვეით. დიდხანს ემსახურებოდით აჭარაში კულტურისა და განათლების განვითარებას, როგორც ერთ-ერთი მესვეურთაგანი ამ ურთულესი დარგებისა. იყავით გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი და არაერთი უნიკალური გამოცემის იდეის ავტორად და განმახორციელებლად იქცით, არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ და ქართული სიტყვის ქომავად გვევლინებით. არჩეული იყავით ბათუმის საკრებულოს წევრად, 2016 წლიდან კი აჭარის უმაღლესი საბჭოს ყველა მონვევის დეპუტატი ბრძანდებით, იყავით უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ხართ ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების საბჭოს წევრი.

თქვენი მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა სამწერლო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვით დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, ფრიტოვ ნანსენის სახელობის, „საგურამოს“ და ჟურნალ „ოლეს“ პრემიებით. დაჯილდოებული ხართ ქართული პოეზიის რაინდისა და რჩეული შემოქმედის საპატიო წოდებებით, დიპლომით „მშვიდობის ვარსკვლავი“. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვდით ჰაოს-ქართლოსის ოქროს მედლით.

ქართველი მწერლები ძალზე გაგვახარ ცნობამ, რომ სულ ახლახან დაჯილდოვდით გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ენდამით და ოქროს მედლით.

ბატონო დავით!

ქართველ მწერლებს დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენთან მეგობრობა, რადგანაც ესაა მეგობრობა პიროვნებასთან, რომელიც მუდმივად ასხივებს სიკეთის, სიყვარულის, კაცთმოყვარეობის, თანადგომისა და თანალობის ფლუიდებს და, ამავე დროს, არის საოცრად პრინციპული, შეუვალი, ქედუხრელი, როცა საქმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, ღირსეულ შემოქმედს, ერისკაცს, პიროვნებას, დღეგრძელობას და მზევგრძელობას გისურვებთ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩამო დახი!

რა მშვენიერად, რა მოხდენილად ატარებ შენს წლებს.

როგორ უხდები შენს სამშობლოს, შენს სათაყვანებელ მამულს.

რა საოცრად მიესადაგება შენი გვარი სამშობლოსათვის უყოყმანოდ შენირული ბერის სახელს.

შენც ხომ მეციხოვნედ გვეგულვი, ქართული სულიერების, ზნეობის, ქართული სიტყვის მეციხოვნედ შენს საესავ აჭარაში.

რა თავგანწირვით ებრძვი ბოროტებისა და სიავის ნებისმიერ გამოვლინებას, ებრძვი სიკეთისა და სათნოების სახელით, ებრძვი შენი სამშობლოს სახელით, შენი მშობლიური კუთხის - მრავალჭინახად აჭარის სახელით და მტკიცედ გნამს, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

შენმა მშვენიერმა პოეზიამ უკვე დაიკავა საპატიო ადგილი თანამედროვე ქართული მწერლობის საგანძურში. მტკიცედ მნამს, რომ კიდევ ბევრი მშვენიერებასთან წილნაყარი ლექსებით გაამდიდრებ შენს შემოქმედებას.

ისე მიყვარხარ. ისე მესათუები, რომ მგონია დედამამიშვილები ვიყოთ ერთმანეთისა.

გაგიმარჯოს!

მაყვალა გონაშვილი

ჩამო დათო!

აჭარა ხომ საქართველოს უპირველესი და ძირძველი კარიბჭეა. ამ ურყევ ციხესიმაგრეს, საიდანაც საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა, უპირველეს მოურავად უდგახარ შენ, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მეთაური და ჭეშმარიტი ერისკაცი.

ჩემი არ იყო, ცხოვრებამ არაერთი ფათერაკი შეგამთხვია, მაგრამ მემყვება, რომ კლდე-სავით მაგარი ხარ - შეურყეველი და ფოლადივით მტკიცე. როცა ჩვენს ეროვნულობას საშინოოდა დაემუქრება და მწერლები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ავიფოფრებით, შენი იმედი გვაქვს.

მერედა, რა კარგი პოეტი ხარ. როგორი გულშიჩამწვდომი სტრიქონებით აგულიანებ და ამხნევებ ჩვენს მამულს. მადლიერია საქართველო იმით, რაც აქამდე მისთვის გაგიკეთებია და იმედით აღსავსეა იმითაც, რასაც მომავალში შენს ხანგრძლივ წმინდა ბერის მოთმინებით აღსავსე სიცოცხლეში გააკეთებ.

იუბილეს გილოცავ, ჩემო ერთგულ მეგობარო!

რევაზ მიშველაძე

სასვა ღირსებით, პატიოსნებით...

ჩემს ძვირფას მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, დავით თედორაძეს 75 წელი შეუსრულდა!.. ჩვენ, სტაბულის წლებში, ახალგაზრდა პოეტების ფესტივალზე გავიცანით ერთმანეთი და ფიც-ვერცხლით ძმებად გავიფიქვით!.. ეს არ ვიკმარეთ და მერე დათომ ჩემი შვილი, დათა მონათლა და ნათელმირონობითაც გავამტკიცეთ ჩვენი მეგობრობა!.. მერე იყო ლამაზი და დაუფინყარი წლები, - დათოს ლამაზ ოჯახში, ბათუმში თუ მის სოფელ ერგეში სტუმრობები და დათოს მშვენიერი და სათნო მეუღლის, - მადონა ფალავანდიშვილის სიყვარულით საცხე შეხვედრები!.. სასახლოდ გამოვიღე ამ წლებში იყო წარმატებები, მრავალი სიხარული და იყო გაუნელელებელი ტკივილიც, - საყვარელი მეუღლის დაკარგვა!.. დათომ თავისი ნიჭიერებით, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და სამშობლოს ერთგულებით დიდი სიყვარული დაიმსახურა; ის არის საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის გამორჩეული თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის დეპუტატი, არაერთი მნიშვნელოვანი პრემიის ლაურეატი და მრავალი წიგნის ავტორი!.. კაცი შემკობილი ღირსებით და პატიოსნებით!..

მინდა, ჩემს ძმადნაფიცს დღეგრძელობა, სულის სიმხნევე, ჯანის სიმრთელე, წარმატებები და ტკბილი წლები ვუსურვო თავის მონაგართან და ახლობელ-ნათესავ-მეგობრებთან ერთად!..

ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო დათო!.. იხარე და იდღეგრძელე!.. მიყვარხარ და მემყვები!

ბალათერ არაბული

პრეპი

დავით თედორაძეს

შენ საქართველოს ეფერები ახლა ერგედან, მოაქვთ ლამეებს მთვარის სხივთა სევდა ფარული, კვლავაც ოდესმე დაუბრუნდეს ქართველს, ეგება, ღვთით ბოძებული ერთგულება და სიყვარული...

არც განდიდება, არც სახელი ჩვენ არ გვეჭირდება – არის ყოველი წარმავალი და მოჟამული და ერთადერთი უკვდავეება, ანუ დიდება, შენთვის მარადის სალოცავი იყო მამული...

მტრობის მოსურნე თუმც ქირქილებს ბნელში სატანა, მთვარე ჭოროხზე კვლავ მალდება და თავთავდება; შენ კარგად იცი, ერთმანეთის გვმართებს გატანა, გვმართებს ერისთვის თავგანწირვა და თავდადება...

და საქართველოს ეფერები ახლა ერგედან, მოაქვთ ლამეებს მთვარის სხივთა სევდა ფარული და ჩვენს სულებში, ვით იმედი, ღვივის ნერგებად მარადიული ერთგულება და სიყვარული...

ბალათერ არაბული

მანანა ქიმერიძის ახალ რომანში „ლანდები ანგლერში,“ ესაა XX საუკუნის დასაწყისის რუსული სინამდვილე, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინა და შემდგომი პერიოდი, რომლის ექო ბუნებრივია, საქართველომდეც აღწევს, ნაცარტუტად აქციოს ყოველივე ძველი და აიძულოს საქართველო საკუთარ სივრცეში შექმნას მუშა და გლეხთა ორიგინალური, ახლებური, ბოლშევიკური ქვეყანა. ოთხი მთავარი პერსონაჟი დაგამახსოვრდებათ, ესენი არიან კონსტანტინე, მართა, გიორგი და ნანო. პირველი წყვილი 20-ე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობს, გიორგი და ნანო- ანწყომი, 21-ე საუკუნის დასაწყისში. მათ საუკუნე ამორებით ერთმანეთისგან პრობლემები კი ანალოგიური აქვთ. მთავარი სათქმელი მწერლისა კი ის გახლავთ, რომ დროებამ და განსაკუთრებულმა ვითარებამ შესაძლოა მკვეთრი ადამიანებიც კი ლანდებად აქციოს. განსაკუთრებულად სამომ, გაუგებარ, ბნელ ანწყომს ძალუძს ადამიანის ნაშლა და აჩრდილად ქცევა და ამგვარ ყოფაში სუნთქვა, მითუმეტეს, განძრევა საშეიშა, შესაძლოა ვერ გაგინონ და ფიზიკურადაც გაგანადგურონ.

მსოფლიოს სუნთქვა განსაკუთრებულია, ცვლილებები ინვევენ ნგრევის, რომელსაც თან მიაქვს მრავალი ღირებულება რამე და ავტორის აზრით, ნანგრევებზე მდგარი გადარჩენილი ადამიანები თავიდან ასაშენებლად ემზადებიან, ახლებურადაც აშენებენ, მაგრამ კარგად მივიწყებული ძველი, რაც ახლის ასშენებას ნაადგება, გახსენებული და გამოყენებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანები ერთსა და იმავე შეცდომებს პირად ცხოვრებაშიც იმეორებენ და ქვეყნის აშენების დროსაც, მაგრამ ორ მოსიყვარულე გულს ყველა ეპოქაში ერთნაირად უყვარდება. ადამიანებს შორის ნარმოქმნილი სიყვარული ინდივიდუალურიცაა და საერთოც მრავალი აქვთ, მაგალითად, როცა საყვარელი არსება გვერდით გყავს, უყურებ, ეხები და მაინც გენატრება. ანწყომი მცხოვრები დავითისა და ნანოს ურთიერთობა კონსტანტინესა და მართას ერთობას ძალიან შგავს. 21-ე საუკუნის თბილისის ქუჩებში წინა საუკუნის დასაწყისის ჩრდილები აქა-იქ მაინც კრებიან, ასე გრძნობს ავტორი და განცდასაც ოსტატურად გვიზიარებს. ანწყომიც საუკუნის დასაწყისია, რომელიც შესამჩნევლად და ზოგჯერ შეუმჩნეველად ფერისცვალებას განიცდის და სხვაგვარ ფორმებად ყალიბდება,

ქვეყნის ისტორიისთვის ერთი წელი წამიც არაა, მაგრამ ადამიანური ცხოვრებისთვის საკმარისია, რომ ბევრი რამ მკვეთრად გარდაქმნას. ერთი წელი ბევრ რამეს ცვლის, შეუძლია გააბედნიეროს ან სიცარიელეში ცხოვრება აიძულოს პიროვნებას. ბედი ალბათ არსებობს, მაგრამ რეალობაც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრების მიმართულეებების წარმართვაში. უცნაურ, ბურუსით მოცულ ანწყომი შესაძლოა საკუთარი ბედნიერი დღე, მაგალითად, როგორცაა ჯვრისწერა, რეალობად

ვერ აღიქვას და სიზმარი გეგონოს. ტადრიდან გამოსული ცარიელ ქუჩებს მიუყვებოდე ცხოვრების თანამგზავრთან ერთად და ვერ გრძნობდე სიხარულს, ვინაიდან ქალაქს სძინავს და ქუჩებიც ალაგ-ალაგ მოყინულია, და რა სასწაულია, გზად გაღებულ საკონდიტროსთან აღმოჩნდე, ქალაქი მაინც თვლემდეს. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, შეიგრძნობდე საკუთარ სივრცეს და განცდებით გაბრუნებუ-

გაუხსნია, რომლისთვისაც „როტერ-დამი“ დაურქმევია.

ცოლ-ქმარი კონსტანტინე და მართა ახერხებენ ძნელებდობის ჟამსაც გაილამაზონ ცხოვრება, არ დაგავინყვდეთ, უკვე იმგვარი ვითარებაა, რომ ფულიც რომ გეკონდეს, შესაძლოა საჭმელი ვერ იშოვო. მათ აქვთ შესაძლებლობა, ვერცხლის ლანგარზე ხელები აფათურონ, კონიაკი ბროლის ჭიქებიდან მოწრუპონ, გამჭვირვალე

ერთი წელიც ბევრ რამეს ცვლის

ლი სასიამოვნოდ ითენებოდე და გამოფხიზლებულს გაურკვეველი შინაარსის შიში გიპყრობდეს. თავის დროსა და ადგილზე სევდა-მწუხარება მისაღებია, მაგრამ, როცა ეს ორი მაინცდამაინც სიხარულს ერწყმის, მაშინ სულშიც უფსკრული ჩნდება, უზადოდ ღრმა და ძალები არ გყოფნის მის ამოსაგვებად, შესაძლოა გულის სწორიკ გვერდით დაგიდგეს დახმარების ხელის გამოსანვდენად, მაგრამ მაინც უძღურებას გრძობდე, ვინაიდან სატრფოს სულსაც შავი კაეშანი დაუფლებია, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია ყოფნა გამოუძერწ-გამოუკვეთავ, უსილუეტო, ბუნდოვან სივრცეში და არც იცი, ვერ გარკვეულხარ, წინ რა შეგეფეთება, ამიტომ ახლობელი ადამიანის დაკარგვის შიში გიჩნდება სულში და საკუთარ თავსაც ეკარგები, ნუგეშს ეძებ და ვერ პოულობ. წინასწარ არვინ იცის, მოუწევს თუ არა ადამიანს ბნელი გვირაბის გავლა, უკუნეთივითა იქ და შესაძლოა გვირაბიდან გამოალწიო და გეგონოს ისე იქ ხარ ჩარჩენილი, ვინაიდან გვირაბის ბოლოს შუქს არ შემოუნათებია, გასულიც სიბნელებში მიიწევ წინ და ცასაც ვერ ხედავ. კარგი ისაა, რომ ადამიანებს ბნელეთშიც აქვთ ნათელი სხივის შემოჭრის იმედი, ნათებისა, გაჩახჩახების დამკვიდრების რწმენა.

მწერალი რომანში განსაკუთრებულად გარემოზე გვიმახვილებს ყურადღებას, ნივთებზეც, სამოსზეც, ქალების ფერუმარლით დაფარულ სახეებზე, წითელი ფერის სხვადასხვაგვარ ტონიან ტუჩსაცხებზე, მძივებზე, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მეოცე საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ქალების გარეგნობაზე.

ძალზედ მნიშვნელოვანია ნაწარმოებში კაფე, სადაც კონსტანტინე და მართა სავახშმოდ დადიან. ამ კაფეს ადამიანით საინტერესო წარსული აქვს. ერთ დროს, ამ სივრცეში ხელოვანები, ბოჰემური ცხოვრების მოყვარულები იკრიბებოდნენ, შემდეგ აქ გაჩნდა ცვილის ფიგურების მუზეუმი, რომელიც მალევე გაუქმდა, საბოლოოდ კაფე აღადგინეს, რომლის განსაკუთრებული ინტერიერი კლიენტებს იზიდავდა და იყო დრო, როცა აქ ჭურჭელს ჰყიდნენ და ევროპიდან ჩამოტანილი წელსაცხებლებითა და ფერუმარლიებით ვაჭრობდნენ. მაღაზია ჰოლანდიელ ვაჭარ ლე როამს

ფუჟერებიდან შამპანური მოსვან, ფართო ფაიფურის თეფშზე ნაირნაირი ტკბილეული ჰქონდეთ დალაგებული, დასაგემოვნებლად. ახერხებენ ერთი ღამით მაინც დარჩენენ ძვირადღირებულ სასტუმროში და დაივიწყონ გაუგებარი, შავბნელი დროება, რომელშიც საკუთარი ნებით არ მოხვედრილან. მოკლედ, ყველანაირად ცდილობენ იცხოვრონ თუმც სასტუმრო „ანგლერსაც“ რევოლუციის შავბნელი აჩრდილი თავს ადგას. ეს ის „ანგლერია“, რომლის ჭერქვეშ ესენიმა თავი მოიკლა. მოგვიანებით, თბილისშიც, მწერლის სახლში იგივე გააკეთა მწერალმა პაოლო იაშვილმაც.

მწერალი გვასხენებს ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, რომელიც რევოლუციის ქარცეცხლს მოყვა. ვერ დაშოშინდა ქვეყანა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში მრავალმა ადამიანმა თვითმკვლელობა ჩაიდინა, ბევრიც მოკლეს და არც წყდება სროლის ხმები. არა აგასაკვირი ქაოსში ადამიანს მარტოდ დარჩენის შიში რომ გაუჩნდეს, ვინაიდან რჩეულის გარდა არც არვინ აღმოჩნდეს გვერდით მდგომი. აკი, არეულმა დროებამ კონსტანტინე და მართა ერთურთს ფიზიკურად დააშორა, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა და დაშორება დროებით მოვლენად იქცა. მანანა ქიმერიძე მიგვანიშნებს, როგორი ცუდი დროებაც გინდა იყოს, ადამიანმა უნდა მოახერხოს საკუთარი თავის გახალისება, რომ ამ ქვეყანაზე საკუთარი თავის ყოფნა გაამართლოს. ყველაზე ბინძურ დროებაშიც შესაძლოა წააწყდე სილამაზეს, მშვენიერებას და მასზე გაამახვილო ყურადღება.

მრავალი ცუდი რამისკენაა ადამიანი მიდრეკილი, რომელიც თავს უფლებას აძლევს გააზრებულად დაარღვიოს ისტორიული მოვლენის მთლიანი სურათი, ცალსახად განიხილოს პასაჟები, რომლებიც მოსწონს ან მიუღებელია მისთვის და თვალს ვერ უსწორებს. ასე იყო 20-ე საუკუნის დასაწყისში, ასეა ახლაც, 21-ე საუკუნის სათავეში, ფაქტი კი ერთია, კაცობრიობა მუდმივად იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად და რომ ჰგონია მიზანს მიაღწია, აღმოჩნდება, რომ თავიდან უნდა ეომოს მონობასა და ათასგვარ უბედურებას, რომ გადარჩეს.

კონსტანტინესა და მართას პირად მიმონერაში ჩანს გასული საუკუნის დასაწყისის სისასტიკე. მათი წუხილი, ტკივილიანი, მტანჯველი მომენტე-

ბი. იმ დროს ხომ მსოფლიო ომსა და რევოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული და ემიგრაციაც ყოფის მნიშვნელოვანი ნაწილი გამხდარიყო, ასეა დღესაც, ისტორია მეორდება!

კონსტანტინე იწონინერია, განათლება გერმანიაში აქვს მიღებული, მას სამუშაოდ პეტერბურგში მიიწვევენ, მიდის, მაგრამ ნანობს, ვინაიდან საყვარელი ქალის გარეშე თავს უბედურად გრძნობს. პეტერბურგში მართას ჩამოსვლამდე სამშობლოც გაუსაძლისად ენატრება, მაგრამ უკან ვერ ბრუნდება, დანყებულები საქმე აქვს ჩასათავებელი. მძაფრად შეიგრძნობს, რომ ის რუსეთში უცხოა და არვინ დაინდობს თუ რამ საეჭვოს შეამჩნევენ. რევოლუცია უნდა მოხდეს, რომელიც ჩანასახშივე გამანადგურებლად საშიშია. გრძნობს, რომ საყვარელ ქალს კაი ხანს ვერ შეხვდება და მონატრების მტანჯველ კაეშანშიც გაეხვევა. „მართა, ძვირფასო, ჩავედი, სახლში მოვენყე და თავს ერთი კითხვა დამტრიალებს, არ ვიცი, აქ რამ ჩამომიყვანა, რა ძალამ, ან შენ რად მომეცი უფლება ჩამოვსულიყავი, უშენოდ როგორ ვიცხოვრო, ან აქ რა მინდა, არ ვიცი რამდენ ხანს გავჩერდები. საქმეს როგორც კი მოვრჩები ერთ დღესაც არ გავჩერდები, უმალ მანდ გავჩნდები. სამსახურის იმედი დამრჩა, რომ შევძლო, როგორმე მარტობას მოვერიო და დღეები გავიყვანო.“

საუკუნის გასვლის შემდგომ ნანო და დავითიც მართასა და კონსტანტინესავით ვაშლის ნამცხვარს და ღვეზელებს მიირთმევენ, ისინიც ერთად დაიარებიან ქალაქის ქუჩებში, წინა ეპოქის სარკისებური ანარეკლი ანწყომი. ბუნდოვანია ანწყომ, როგორც მაშინ, ახლაც ხალხმრავალ ადგილებს უნდა ერიდო, სიცოცხლისთვის სახიფათოა. ჯარისკაცები ფრონტიდან ბრუნდებიან, ზოგი ცოცხალი, ზოგიც მკვდარი. წინა საუკუნეში საავადმყოფოები დაჭრილებით იყო სავსე, ანწყომიც ასეა, იმ განსხვავებით, რომ უცნაური რაღაც ავადმყოფობა დაძრწის და ადამიანებს ახრჩობს. მაშინაც და ახლაც, დამშეული ხალხი გარეთაა გამოსული და იწონინერები, მაშინაც და ახლაც საჭირონი არიან თუმც დღევანდელ საქართველოში მათ ცოდნას ვერ იყენებენ...

ნანო და დავითი ერთად არიან, მაგრამ ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობენ და ღბათ ესაა მიზეზი, რომ კაცს აქვს განცდა, ნანო, რაღაც მნიშვნელოვანს მიმალავსო. ქალი არაფერს ამბობს, საერთოდ არაფერს და დავითის გარეშე ცხოვრება უჭირს. დავითი მწერალია და წერის დროს ქალს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს, მაგრამ კაცის ფიქრები სულ ნანოს დასტრიალებს, უყვარს!

ადამიანები ეძებენ სიტბოს, სიყვარულს, ერთობას, იმედს, რომ თავი მარტოდ არ იგრძნონ. ადამიანები ერთურთს ვეღვალადებით, „შენ ხარ?!“ „არსად ნახვიდე...“ „არ დამტოვო,“ „უშენოდ ცხოვრება ფერს კარგავს...“ „მალე დავბრუნდები!“ ზოგს ეძლევა შესაძლებლობა დანაქადები შეასრულოს, ზოგს არა. საქმე ისაა, რომ ადამიანმა ყველა დროსა და ვითარებაში შეძლოს სულის სიკვდილისგან გადარჩენა, რომ რეალურ ყოფაში შეძლოს ადამიანურად ცხოვრება, იმედის ჩაუმქრალად სუნთქვა.

თინა ჭედიან

ნათელა გობელაშვილი

პატრიარქის გამოსვლას, რომელ-
მაც ყურადღება გაამახვილა დარ-
ბევის საფრთხის რეალურობაზე და
მომხმობილებს მოუწოდა ქაშუეთის
ტაძარში სალოცავად გადასული-
ყვნენ, სამარისებული სიცუმე მო-
ჰყვა. მომიტინგეებმა გადანყვიტეს
მოედანზე დარჩენა და პროტესტის
ბოლომდე გამოხატვა. ახლაც ყურ-
ში ჩამესმის მერაბ კოსტავას მგზნე-
ბარე, ექსპრესიითა და უზარმაზარი
ზნეობრივი მუხტით გაჯერებული
სიტყვა; -„საქართველოს ისტორიაში
ყოფილა წამები, მაგრამ ეს წამი არის
ერთერთი უდიდებულესი, როდესაც
ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვა-
სა და ვაებაში, ამ სისხლისვრვაში
ასე შეკრული, ასე მთლიანი წარს-
და ქართველი ერი ღვთის წინაშე...ამ
დროს ზვიადთან მივიდა უშიშროების
კომიტეტის ერთერთი თანამშრომე-
ლი და მოსთხოვა მომიტინგეებისათ-
ვის მიემართა რომ მიტინგი დაშლილ-
იყო. ზვიადმა უთხრა; -ნუთუ ვერ
ხვდებით, რომ ვერცერთი ლიდერი
ამ ადამიანებს ახლა ვერ დაშლის?
ამაზე უშიშროების თანამშრომელმა
უპასუხა; -თუ ამას ახლავე არ გაა-
კეთებ, შენს სახლს ააფეთქებენ, შენს
ოჯახს ფიზიკურად გაანადგურებენ
და ბოლოს შენც იგივე ბედი გეწვევა.
როდესაც დარბევა დაიწყო ზვიადი და
მერაბი ტრიბუნაზე დარჩნენ. ნიჩბი-
ანმა ჯარისკაცებმა მთელი მოედანი
დაიკავეს. მერაბი და ზვიადი ახალ-
გაზრდებმა მოედნიდან გამოარიდეს
და ფილარმონისკენ წაიყვანეს. მერ-
აბი 9 აპრილის დილას უნივერსიტე-
ტის პირველ კორპუსთან დააკავეს,
სადაც იგი საინფორმაციო მიტინგის
ჩატარებას ცდილობდა, ხოლო ზვიადი
სახლში უშიშროების თანამშრომ-
ლებმა და ჯარისკაცებმა დააპატიმ-
რეს და უკვე ნაცემი გადასცეს რუს
მედესანტეებს, რომლებიც კოლხური
კოშკის ეზოს მიმდებარე ტერიტორი-
აზე პატრულირებდნენ. -აი ეს არის
ზვიად გამსახუდია, ქვეყნისა და
ხალხის მოლაღობა, გადაუარეთ მას!
ჯარისკაცებმა ზვიადს ცემა დაუწყეს,
მერე კი, ორთაჭალის ციხეში გადაიყ-
ვანეს და ბრალი წარუდგინეს.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი 9
აპრილს, უზენაესი საბჭოს სესიაზე,
უზენაესი სამჭოს თავმჯდომარემ ბა-
ტონმა ზვიად გამსახუდიაშვილს შემდეგი
სიტყვა წარმოთქვა; - „გაუმარჯოს
თავისუფალ საქართველოს! გაუმარ-
ჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!
უამრავი დაბრკოლებების მიუხედა-
ვად საქართველომ დამოუკიდებლობა
გამოაცხადა. მაგრამ არ ეძინა გარეულ
და შინაურ მტერს. მათ დაიწყეს ბრძო-
ლა დამოუკიდებელი საქართველოს და
მისი ლიდერის ზვიად გამსახუდიას

წინააღმდეგ. ღალატი ძვირად დაუჯდა
ქვეყანას. თავად ზვიადი კი, ზვარაკად
იქნა მიყვანილი მის სამსხვერპლოზე.
საქართველომ დაკარგა აფხაზეთი და
შიდა ქართლის ნაწილი, სამაჩაბლო.

საქართველოს ძმათამკვლელ-
მა ომმა უმძიმესი კვალი დაუტოვა.
დაიკარგა ქვეყნის ძირძველი ტერი-
ტორიები, აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ქუჩა-
ში გასვლა კი საშიში. იარაღსხმული
ბანდები არ ინდობდნენ თვისტომთ.
თავის გადარჩენის მიზნით საჭირო
გახდა ქვეყნიდან წასვლა და დაიწყო
უცხო ქვეყნებში ახალგაზრდების და
ძველგაზრდების გადინება. ქართული
ნიჭი ქვეყნის გარეთ გაიფანტა. ასე
აღმოჩნდა ჩემი ოჯახიც საფრანგეთ-
ში. მე მათ სანახავად, ჩემი ბავშვობის
ოცნების ქვეყანაში, საფრანგეთში გა-
ფრინდი. -ჰაერს მიაპობს ევროპისკენ
რკინის მანქანა, გული საგულეს ვერ
ეტევა, ძილი გამქრალა. და აი თვითმ-
ფრინავი დაეშვა ლუქსენბურგის
აეროპორტში, აეროპორტში ჩემი შვი-
ლი დამხვდა. საოცრად ლამაზი და
მდიდარი ქვეყანაა ლუქსენბურგი.
ყველგან იგრძნობა ადამიანის მზრუნ-
ველი ხელი. იქიდან საფრანგეთში,
პატარა ქალაქ მეცში გავემგზავრეთ.
სახლში ჩემი შვილიშვილი ერთი წლის
ლურჯთვალემა მათა დამხვდა. გავიხ-
არეთ ერთმანეთის ნახვით. კვირას კი
მეცის მართლმადიდებლურ ტაძარში
წავედი. ამ ქალაქში მცხოვრები ქა-
რთული ემიგრაცია ტაძარში იკრიბება
სალოცავად და ერთმანეთის მოსანახ-
ულებლად. იქ, ტაძარში ვნახე ეროვნუ-
ლი მოძრაობიდან ან უკვე ჩემი მეგო-
ბარი, ქალბატონი ნინო ხარბედია.
ნინომ სტუმრად მიმინვია თავისთან
სახლში. ნინოს ლამაზი ოჯახი, ჩეხი
მეუღლით და ორი ულამაზესი შვილ-
ით, ჰელენკა და გიორგი, სტუმართ-
მოყვარედ დამხვდნენ და ქართულად
მიმასპინძლეს.

ვუყურებდი ნინოს და თვალწინ
დამიდგა 1991წლის 21 დეკემბრის
ღამე. ჩემს გვერდით მთავრობის სახ-
ლის წინ კიბეებზე ჩამომჯდარი ახ-
ალგაზრდა ქალბატონი ვიდეო აპარა-
ტით ხელში, რომელიც ყველაფერს
იღებდა, რაც იქ ხდებოდა. ნინო ცოტა
შეცვლილი მეჩვენა. -ნინო, უცებ მი-
ვტრიალდი მისკენ და კითხვა დაეუხ-
ვი; -პრეზიდენტის საქართველოდან
წასვლის მერე სად წახვედი? -როცა
პრეზიდენტმა სასახლე დატოვა,
ხალხი სასონარკვეთილი იყო. მე სენ-
აკში დავბრუნდი. მიტინგები იმართე-
ბოდა. სახლში ვერავინ ჩერდებოდა და

ყველა მიტინგზე გარბოდა. ეს ხალხის
დაკვეთა იყო. რა უნდა გვექნა? ჩვენ-
გან თხოულობდნენ პასუხს. მაშინ
ფრეფექტურაში თანამდებობა მეკა-
ვა. საკვირველი არ არის, რომ ხალხი
ახალ ამბებს ჩვენგან ელოდებოდა. აგ-
ინებდნენ; სიგუას, იოსელიანს, კიტო-
ვანს. ახლა ჩვენი მიკროფონებიდან
ისმოდა; პუტჩისტები, სისხლისმს-
მელები და ქვეყნის დამაქცევლე-
ბი. განა ასე არ იყო? პრეფექტურაში

იქაურობას და თავდაცვაზე გადავ-
სულიყავით. სოხუმში წავედი. მალე
ხუნტა აფხაზეთში შემოვიდა და ომი
დაიწყო. ეს ომი კი ქართველთა დამ-
არცხებით დამთავრდა. შევარდნაძემ
აფხაზეთი რუსეთს ჩააბარა. დავკარ-
გეთ ორი რეგიონი. მე იძულებული ვი-
ყავი საქართველოდან წავსულიყავი.
აი ასე აღმოვჩნდი აქ ჩემო ნათელა,
სევდიანი, ცრემლით სავსე თვალებით
შემომხედა ნინომ და საქართველოს
სადღეგრძელო დალია. სადღეგრძე-
ლოს მეც შევუერთდი.

კოლხური კოშკის ბინადარმა
ერს დაკარგული თავმოყვარეობა
დაუბრუნა, მაგრამ აბობოქრდა სული
გამყიდველისა და საქართველოს
პირველი პრეზიდენტი, კაცი ქვეყ-
ნის თავისუფლებისა და დამოუკიდე-
ბლობის გამომცხადებელი, შეწირულ
იქნა ზვარაკად, იმავე ქვეყნის სამსხ-
ვერპლოზე, რომლისთვისაც ღრმა
ბავშვობიდან იღვწოდა!

საქართველოს ისტორია სავსეა ღა-
ლატიანი ისტორიებით.

წარსულის სურათები ერთმანეთს
ცვლის, საუკუნე, საუკუნეს ეპაექრე-
ბა. თვალწინ ჩამიქროლეს მეოცე
საუკუნის დასასრულს სისხლდან-
რეტილმა და უღმერთოდ განწირულმა
მამულიშვილებმა და მინდა ხმამაღ-
ლა ვიღრიალო.. გეყოფათ, გეყოფათ,
ქვეყნის გამყიდველებო! გიყვარდეთ
საქართველო ისე, როგორც შეიძლე-
ბა ჭეშმარიტ ქართველს უყვარდეს.
მაშინ, აი მაშინ, რიყრაჟზე მამალი
იყივლებს, მზიდან და მინიდან ოქრო
ინვიმებს. დედო ზარის ხმაზე მუხლი
მოიყრება და ველარავინ დაგვამარცხ-
ებს. მაგრამ ვის ესმის ჩემი ხმა, ვის?
ჩემო ქვეყანავ, რა ავბედითმა ძალამ
აგაკვნესა ასე? ასე დაჭრილი საქარ-
თველო ხომ ბევრჯერ უნახავთ, ეს ოხერი
ტკივილი რად გამოდგა ასე პირდაპირი,
გულის სიღრმემდე რომ მიდის? იქნებ
იმიტომ, რომ შენი შვილებია მიზეზი?
შვილისაგან მიყენებული ტკივილი ხომ
უსაშველოდ ღრმაა დედისათვის? მა-
გრამ გაივლის, გაივლის, ჩემო მრავალ-
ტანჯულო სამშობლოვ. შენ ხომ მარა-
დიული ხარ, ღვთიური ხარ მარიაშის
წილხვედრი ხარ, მამა-ღმერთის ნაკ-
ურთხო მინავ, ქრისტეს ჯვართი მავა-
ლო, მჯერა შემოანათებს „მრავალჟა-
მიერის“ სისხაში.

სალამო დამდგარიყო უკვე, წარსუ-
ლის გახსენებაში მზის ჩასვლა ვერ-
ცკი შევამჩნიეთ. ჩემი წასვლის დრო
მოვიდა. გამოვემშვიდობე ნინოს
ოჯახს და სახლში წავედი. საფრან-
გეთის მშვიდი, ულამაზესი ბუნება
მეფერებოდა უცხო, მაგრამ მასზე
უზომოდ შეყვარებულ სტუმარს და
მისი სიო საამოდ ელაციცებოდა ჩემს
ნაღვლიან, მოგონებებში ჩაძირულ
ფიქრიან სახეს.

„არის მკითხველი მშვენიერ ნიგნის და არის მხოლოდ გადაამკითხველი...“ გალაკტიონი

დიდებული გალაკტიონი...ქართული ლექსის მესაიდუმლე ამ ბრწყინვალე სტრიქონით უდავოდ ჭეშმარიტებას ქადაგებდა.

მკითხველი და გადაამკითხველი... ეჰ, რამდენი თაობა გადასულა იმქვეყნად, რამდენჯერ ამოწვენილა მზე და სალამოს დიდებულებით ჩაბრძანებულა, რამდენჯერ მოუქარგავთ ლურჯთვალა იებს არემარე, რამდენჯერ ჩამოცვენილა ოქროსფერი ფოთლები, რამდენჯერ დასცემია სპეტაკი ფიფქები დედამინას.. და ყოველთვის არსებულა ეს წყვილი: მკითხველი-გადაამკითხველი.

ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში კითხულობს და იღებს ახალ ინფორმაციებს. იმისათვის, რომ ის გახდეს განსწავლული, ინფორმირებული, გაერკვეს საკითხებში, რომლებიც გავლენას მოახდენენ მის ცხოვრებაზე, მან უნდა იკითხოს ნიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა წერილობითი წყაროები. მაგრამ, სანამ კითხვას დაიწყებს, მან უნდა იცოდეს, რისთვის კითხულობს, რა ნაიკითხოს და როგორ ნაიკითხოს.

წერა-კითხვის ცოდნა ნამდვილად არ ნიშნავს კარგ მკითხველობას. ალბათ, უხერხულია ადამიანს შეეკითხო: 'ნიგნს თუ კითხულობ?' სავარაუდოდ პასუხი ასეთი იქნება: "რას მეკითხები, ვკითხულობ აბა, რა!" მკითხველთა უმრავლესობა შეკითხვაზე „თუ როგორ მოეწონა ესა თუ ის ნაწარმოები,“ პასუხობს ერთგვაროვნად-„კარგია“. რატომაა კარგი ამის ახსნა კი ძალიან უჭირთ.

უმაღლესი სასწავლებლის დიპლომიც კი ვერ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მისი მფლობელი კარგი მკითხველია. კარგ მკითხველად თანდათან ყალიბდებიან.

იმისათვის, რომ ხელი შევეწყოთ კარგი მკითხველების და არა მხოლოდ „გადაამკითხველების“ აღზრდას კითხვის უნარის რამდენიმე ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ:

1.კითხვა არ ნიშნავს ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან თუნდაც ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების ამოკითხვას. საჭიროა, რომ ეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მთლიანი ტექსტის გასაგებად გამოვიყენოთ.

2.იმისათვის, რომ მკითხველს განუვითარდეს გააზრებული, მართული კითხვის უნარ-ჩვევა ის უნდა გაინაფოს კითხვაში ანუ იკითხოს ხშირად.

3.მკითხველისათვის ტექსტი უნდა იყოს გასაგები. უნდა გაიბას უხილავი ძაფი მასა და ავტორს შორის. კითხვას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიზანი.

და მაინც რატომ ვკითხულობთ ნიგნებს?

ამის პასუხად ცნობილი ინგლისელი მწერალი და ესეისტი ვირჯინ-

ია ვულფი(1882-1941) თავის ცნობილ ესეში „როგორ ნავიკითხოთ ნიგნი?“ წერს: „უპირველესად იმ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად უნდა ნავიკითხოთ, ხანდახან რომ გვეუფლება, როცა სალამოობით შევჩერდებით ხოლმე სინათლეაბრდღვიალებულ სახლთან, ფარდები ჯერ არ ჩამოუფარებიან და თითოეული სართული ადამიანთა ყოფას სხვადასხვაგვარად წარმოგვიჩენს. ცნობისმოყვარეობა გვლრდნის რაიმე შევიტყოთ ამ ადამიანთა ცხოვრებაზე-მსახურები ჭორაობენ, ჯენტლმენი სადილობს, გოგონა წვეულებისათვის იმოსება, დედაბერი ფანჯარასთან მიმჯდარა და ქსოვს. ვინ არიან ისინი, რანი არიან, რა ჰქვიათ, რას საქმიანობენ, რას ფიქრობენ, თავს რა გადახდენიათ?.. გნებავთ გავყვეთ ბილიკებს, ნიგნის გვერდებზე რომ მიემართება... რამდენი სახლია მოსანახულებელი და ზარი ჩამოსაკრავი...ნიგნის კითხვა, მართლა კითხვა რასაც ჰქვია, მოითხოვს განსჯას, წარმოსახვასა და გამჭრიახობას.“

კითხვა კომპლექსური, კომუნიკაციური პროცესია, რომლის დროსაც მკითხველი ადარებს ახალ-ნაკითხულს იმას, რაც მან უკვე იცის.

კარგ მკითხველს ყოველთვის აქვს პიროვნული მოლოდინი წასაკითხი ტექსტის მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ვარაუდების, ჰიპოთეზების გამოთქმით კითხვის დროს. ეს ვარაუდები მონმდება, რაც კითხვის პროცესს სახალისოსა და აქტიურს ხდის.

კითხვა მაშინ გადაიქცევა სახალისო საქმიანობად, როცა მკითხველი გაიგებს ნაკითხულს. ნაკითხულის გაგებაზე კი გავლენას ახდენს:

- 1.ცხოვრებისეული გამოცდილება;
- 2.ფონური ცოდნა;
- 3.ლინგვისტური ცოდნა;
- 4.ტექსტის სტრუქტურის ცოდნა;
- 5.მეტაკოგნიტური ცოდნა.

მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს. ცხოვრებისეული გამოცდილება ეხმარება მკითხველს ადვილად დაუკავშიროს ტექსტებში ამოკითხული სინამდვილეს. გადაიტანოს ის საკუთარი გამოცდილების კონტექსტში, შეადაროს, იპოვოს მსგავსება-განსხვავებები.

უჩნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული აზრის, შეხედულებების, კულტურის მიმართ. ფონური ანუ თემის ცოდნა უადვილებს მკითხველს ნაკითხულის გაგებას, რადგან მან უკვე იცის ტექსტის თემასთან დაკავშირებული ფაქტები, ცნებები, ტერმინები. ლინგვისტური ცოდნა ეხმარება ტექსტის გაგებაში. წინადადებაში სიტყვათა წყობით, სინტაქსური კავშირებით მკითხველს შეუძლია ივარაუდოს მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობა. კონტექსტით ამოიცნოს ახალი ლექსიკური ერთეულები. ტექსტის სტრუქტურის ცოდნის წყალობით კი შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება და მისთვის კითხვის შესაბამისი სტრატეგიის

შერჩევა. მეტაკოგნიტური ცოდნა ეხმარება თვალის მიადევნოს საკუთრი ცოდნის შეძენის პროცესს.

კარგი მკითხველები იყენებენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს და გონებაში ერთმანეთს ადარებენ მათი გამოყენების ეფექტიანობას. იაზრებენ, როდის წარმოისახონ ნაკითხული, როდის დასჭირდათ ხელახლა ნაკითხვა, როდის მიმართეს ლექსიკონს, როგორ შეაჯამეს გონებაში ნაკითხული და ა.შ.

კითხვის უნარის განვითარებისათვის ძალიან კარგ შედეგს გამოიღებს შეხვედრა კარგ მკითხველებთან, მწერლებთან, პოეტებთან.

კარგი მკითხველი:

- 1.კითხულობს გამართულად ანუ უშეცდომოდ, გაბმულად, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით;
- 2. კითხვის ყველა ეტაპზე ააქტიურებს და იყენებს წინარე ცოდნას, რათა სიღმისეულად გაიაზროს ტექსტი;

3.მიმართავს ტექსტის ვიზუალიზებას, გონებაში ქმნის აზრობრივ სურათ-ხატებს ტექსტში მოცემული მოვლენების, მოქმედი პირებისა და საგნების, მათი თვისებებისა და მახასიათებლების, აღწერილი გარემოებების შესახებ.

4.გამოთქვამს ვარაუდებს წასაკითხი თემისა და შინაარსის შესახებ. ვარაუდები უზიძგებს მკითხველს ჩამოაყალიბოს კონკრეტული მოლოდინები ტექსტთან დაკავშირებით,

ყურადღებით გააგრძელოს მომდევნო მონაკვეთების კითხვა და გადაამოწმოს, რამდენად გამართლდა მისი ვარაუდები;

- 5.განსაზღვრავს ტექსტის ელემენტების აქტიულობას. შეუძლია გამიჯნოს მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტები ნაკითხულ ტექსტში;
- 6.ერთმანეთთან აკავშირებს ნაკითხული ტექსტის ელემენტებს და ცდილობს, გაამთლიანოს კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაცია.

დაბოლოს, ყველას გვახსოვს ფანტიკოსი მკითხველი ვასიკო კეჟერაძე და მისი გაღიზიანებული ოპონენტი, სოციალოგიური სამსახურის ხელმძღვანელი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა.“

კარგი მკითხველის ჩამოყალიბებას ნამდვილად დიდი ძალისხმევა, მუშაობა სჭირდება, კითხვა, კითხვა და კითხვა, რომ ბოლოს არ მივიღოთ „ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავშვში... რა უნდა იყოს ამაზე საზარელი, ამაზე იდუმალი რამ..“

---ნაიქცა, ნაიქცა,-ინადით იძახის ხელმძღვანელი,-დიდი ამბავი, თუ ნაიქცა, ნაიქცა,

ნაიქცა და კეთილი გამვლელები კვლავ წამოაყენებენ... ბავშვობაში ვინ არ ნავეცეუღვართ...“

მაია მელუავა
ქართული ენისა და
ლიტერატურის პედაგოგი

პაატა სურმანიძე

მარტის ისიდა

ვარდებს უხმობენ მისტერ იები ვენერამურულ მისტერიებით და ისტორიულ ისტერიებით. გათავისუფლდა ცის საწყისიდან, გადმომილოცა ვინც თავისიდან, ცისფერი სფინქსით მარტის ისიდა. მიწყვიტებას ვინცებ მთიების, როცა ყვავილებს გიკრეფ მთიების, როცა ნატრობენ ტიტებს თითები. შენ სულს ვამაღლებ პირად დიდებით, ნილოსის პირას ხშირად გპირდები ახალ სიმაღლეს, პირამიდების. ჩვენ გვაკავშირებს არფის ხიდები, გედის ოპერა, მარტის იდეები და დაპირება პირამრიდები.

სულისარს

ინდურად აცეკვებს სული სარს, ქარი კი ხმელ ფოთლებს ბოშურად. გიტარით გიძღვნიდი სულისარ, ნოემბრის რომანსებს ბროშურად. შემოსავ მე უფლის პერანგით, ლექსებში მახედებ სულის არსს. ციდან ხარ მოსული ზერანგით, პოეტის მფარველად სულისარ! შენ ჩემი გულისკენ ისროდი, ამურულ თვალთაგან სულ ისარს. მითხარი ვიქნები ცის როდის, რომ ერთი სული მაქვს სულისარ. ორსულმა ცამ სივრცე შვა ბევრად, შესაქმით გაცხადდა სულ ის არს. ციური ამბორით შთაბერვა შენ ძალგის შორიდან, სულისარ. მოადგა სიჩუმე კარს ნელი, კბილებით უჭირავს სული სარს და ჯვარცმულ სამოსელს კარსნელი, შენ ხელით ჩამაცმევს სულისარ!

პარიზის სამსჯავრო

მკვდარ ნიგნით მუშია მეფეთა ველს, სიზანტით მოიხმო მემ ფისო . ღვინოში ვხარშავდი მეფე თაველს, საითკენ მიგყავარ მემფისო?! ლურჯ ცხვრებით მთებს ფარავს ფარაონის, თეთრ ზამბახს ვუფ ზავნი როს ირისს. ოქროს ვერძს მზეს ვწირავ, ფარაონი, კაენი თავს მომჭრის ოსირისს. მე ვაგებ ისიდას პირამიდას, სულ ყველა მათხოვრის საცხოვრის. სამსჯავრო მომიწყო პირამ იდას, პარიზში სასჯელი მაცხოვრის. გარდმომხსნის ქალწული მარიამი, იდგმება ბოშური პიესა, ჯვარს მაცვეს, მე როგორც ქმარი ამის და შვილად დამტირის პიეტა.

ირმა კეკელიძე

გი მიყვარს რუსთავის თეატრი

2024 წლის 20 აპრილს, გაზაფხულის ღამეს (მზის სხივებით გაბრწყინებულ) დღეს, თბილისში, მარბლის ქუჩის ცამეტ ნომერში, მწერალთა სახლში, ტრადიციულად, ნიგნის წარდგენას დავესწარი... თუმცა ეს არ იყო ის ნიგნი, სადაც (უმეტეს შემთხვევაში) პოეზიაზე, პროზაზე, დრამატურგიაზე და ა.შ. მწერლობის სხვადასხვა მიმართულებაზე ვლაპარაკობთ... გაზაფხულის ღამეს დღეს, ღამეში ქალბატონის, რუსთავის თეატრის მსახიობის, თამარ კანდელაკის ნიგნის "მე მიყვარს რუსთავის თეატრის" წარდგენას დავესწარი.

თანამედროვე ქართულ თეატრზე საუბრისას, აუცილებელია ვახსენოთ, ქვეყნის ახალ და უახლეს ისტორიაში, ხელოვნების (კულტურის) აღმავლობისთვის, თეატრალურმა ხელოვნებამ, ზოგადად თეატრმა, თუ როგორი სოციალური დატვირთვა მიიღო... როგორი ფართო განვითარების გზა მიეცა, დედაქალაქში, სხვადასხვა ქალაქებში თეატრების შექმნას (დაარსებას) და ქართულ, ეროვნული სცენაზე, ახალი სასცენო კულტურის განვითარებას.

ნიგნის "მე მიყვარს რუსთავის თეატრის" საზოგადოებასთან წარდგენას უძღვებოდა, რუსთავის თეატრისა და ზოგადად ქართული თეატრის მემკვიდრე, უნიჭიერესი მსახიობი, რეჟისორი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის, კინოს, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის პრეზიდენტი, ქალბატონი-ლარისა ხაჭაპურიძე... ქალბატონმა ლარისამ, საინტერესო, ამავდროულს ძალზედ საჭირო და საყურადღებო მიმოხილვა გააკეთა, ყველა იმ საჭირობორტო საკითხზე, რაც ზოგადად ქართულ თეატრს ეხებოდა, ეხება და რაც მომავლისთვისაც გასათვალისწინებელია... ქალბატონმა, ლარისა ხაჭაპურიძემ, როგორც რუსთავის თეატრის მსახიობმა და მემკვიდრემ, განსაკუთრებული გრძობით, სიყვარულით და ამავდროულს, გულსტკივილით ილაპარაკა რუსთავის, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის, მუნიციპალურ, დრამატულ თეატრზე... ვინ ვინ და ქალბატონი ლარისა, მემკვიდრე რუსთავის თეატრის. იგი მომსწრეა (მონაწილეა), რუსთავის თეატრის ტრიუმფალური აღმავლობის, რომელსაც შემდგომ სერიოზული ჩავარდნა და სასონარკვეთა (გულწრფელი განცდა) მოჰყვა, როგორც მსახიობების (შემოქმედებით) ჯგუფის, ასევე თეატრის მრავალრიცხოვანი მაყურებლის მხრიდანაც... ქალბატონმა ლარისამ, მკვეთრად, რეალური სიტყვებით ისაუბრა იმ ტკბილ-მწარე რეალობაზე, რაც რუსთავის თეატრის უახლეს ისტორიაში მოხდა და რასაც მიეძღვნა, თამარ კანდელაკის (საკმაოდ ვრცელი ნაშრომი) ნიგნი- "მე მიყვარს რუსთავის თეატრის"... ნიგნი პუბლიკაციური ხასიათისა და სწორედაც, რომ რუსთავის თეატრის მიმართ, ავტორის განცდას, ძლიერ სიყვარულს და გულსტკივილს ცხადად, დაუფარავად, გულწრფელად გამოხატავს.

რუსთავის თეატრი, ქვეყნის და არა მხოლოდ ქვეყნის, გამორჩეული თეატრი იყო. რუსთავის თეატრის წარმატება, ზოგადად ქალაქის წარმატებასაც განაპირობებდა... სახელმწიფოს, ქვეყნის, სულიერების, მასულდგმულებელ, მამოძრავებელ ძალას (საზრდოს), რაც

მრავალჯერ თქმულა, კულტურული ფასეულობები წარმოადგენს. ადამიანები, საზოგადოება, ღიად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კულტურისადმი... კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი, დინამიური (რაც მრავალჯერ მითქვამს), ღია ძალა საზოგადოებასთან ურთიერთობისა, შეიძლება გაბედულად ითქვას, პლანეტის საზოგადოებისა- იყო, არის და იქნება თეატრი... დიახ, კულტურულ ფასეულობებს შორის თეატრი არის, ერის სულიერი გამოხატულების, სიცოცხლის უნარიანობის საზომი, მაჩვენებელი... თეატრი არის, ერის დახვეწილობის, უკვდავების მაჩვენებელი... კულტურის სამყაროში, კულტურულ არენაზე, სხვადასხვა ფასეულობებს შორის, უმეტეს წილად იმარჯვებს თეატრი... იმარჯვებს თეატრი, რომელსაც აქვს უნარი, როგორც ეროვნული ხასიათის, ასევე უცხო ყოფის ამსახველი, შემოქმედებითი რეალობა, ცოცხალ სცენაზე დაგვანახოს... ისეთი ქალაქისთვის, როგორც რუსთავია, სწორედაც რომ თეატრი წარმოადგენს, ძირითად სასიცოცხლო არტერიას!... რომლის ანმყოფ და მომავალიც მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული, თეატრის ანმყოფა და მომავალზე... ნიგნის ნაკითხვამ (მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ვიცოდი, რაც უახლოეს წარსულში ხდებოდა რუსთავის თეატრში), საკმაოდ უსიამოვნო განწყობა შემიქმნა... ნიგნის რედაქტორი, ქალბატონი ნათელა გოხელაშვილი (მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია "ქალდეას"-აკადემიკოსი; გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, პოეტი-აკადემიკოსი), შესავალ ნაწილში ამბობს: "რუსთავის თეატრი, ერთ-ერთი გამორჩეული თეატრი იყო. მე ამ თეატრის სპექტაკლებზე აღზრდილი ქალბატონი ვახლავართ. თეატრი, რომელიც დიდმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ დაარსა... ქართული თეატრის ისტორიაში აღსანიშნავია 1967 წლის 30 ნოემბერი. თარიღი, როდესაც პირველად გაიხსნა რუსთავის თეატრის ფარდა. გენიალური სპექტაკლები: "სირანო დე ბერჟერაკი", "ასი წლის შემდეგ", "მეფე ლირი", "ლამანჩელი", "გულდინდელნი", "საბრალოდო დასკვნა" და ა.შ. ეს ის სპექტაკლებია, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა... როდესაც წინამდებარე ნიგნი ნაკითხვებში, მოულოდნელობისაგან მეტყველების უნარი წამერთვა, გამახსენდა ჩვენი დროის გენიალური ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა", სადაც რუსთაველის თეატრის მსახიობის, სალომე ყაჩიყაშვილის გმირი ამბობს: "სავლე, სავლე, ეს რა გიქნეს, ჩემო სავლე!" იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკურ ელიტას ორიენტირად ექცეს რწმენა, დემოკრატიული პრინციპების ერთგულება, მამაპაპისეული გზის მაგალითების გასიგრძელება, ეროვნული ტრადიციების- ენა, მამული, სარწმუნოება"-განუხრელი მსახურება, პირობით იმ დროინდელი მთავრობის ხელში უფსკრულის პირას იყო. სწორედ ამაზეა ეს ნიგნი, რომელზედაც თვითონ ნიგნი ლაპარაკობს... არავისთვის არ არის დასამალი, რომ იყო წლები, როდესაც კულტურის მესვეურებს "ჩარეცხილები" უწოდეს!... არავის არა აქვს უფლება, ამ თეატრის (რუსთავის თეატრის) მდიდარ ისტორიას გულგრილად მოექცეს. ბოლოსდა ბოლოს თეატრს, რომელიც დღეს ამ თეატრის დამაარსებლის, ბატონ გიგა ლორთქიფანიძის სახელს ატარებს, ისე მოვექცეთ და მოვიქცეთ, რომ თუ პირვანდელი სიმადლის დონეზე ვერ აწევთ თეატრის დროშას, ისე ნუ დავეცემით, რომ დროშა და დიდი რეჟისორის სახელი ლაფში ამოვსვართ და შევარცხინოთ"... ასეთი გულსტკივილით, გვესაუბრება და ანოტაციურ შესავალს აკეთებს, ნიგნის

მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ნათელა გოხელაშვილი... ნინასიტყვაობაში, ნიგნის ავტორი, რუსთავის თეატრის მსახიობი, თამარ კანდელაკი ამბობს: "როდესაც რუსთავის თეატრს ძალიან უჭირდა, როგორც ფიზიკურად ისე სულიერად და თითქოს მშველელი არსადაც ჩანდა, სწორედ მაშინ, რუსთავის თეატრის მაყურებლებმა სოციალურ ქსელში შექმნეს გვერდი "მე მიყვარს რუსთავის თეატრის". ამ გვერდმა ყველა თეატრის მოყვარული, სპეციალისტი თუ არა სპეციალისტი ააფორიაქა. თეატრის საუკუნეების არსებობის მანძილზე, პირველად მთელს მსოფლიოში, რუსთავის თეატრის მაყურებელმა აღიმალა ხმა თავისი ქალაქის და თეატრის დასაცავად. გვერდი მოუწოდებდა მსახიობებს: -გამოდით, გაგვიძიებთ ნინ და ჩვენ თქვენთან ერთად, ჩვენი თეატრის დასაცავად მიუბზავინებთ..." ნიგნის ავტორი, თამარ კანდელაკი, სწორედაც რომ სოციალურ ქსელში, რუსთავის თეატრის მოყვარულთა, გულშემატკივართა მიერ შექმნილი გვერდის "მე მიყვარს რუსთავის თეატრის" სახელწოდებას იყენებს ნიგნის სახელწოდებათაც და სოციალურ ქსელში არსებული (თეატრის გულშემატკივარ და პროფესიონალ თეატრალთა) კომენტარების, აზრთა ჭიდილის, ღიად გამოხატული სათქმელით, დაბადებული ნიგნით გვესაუბრება... გვესაუბრება ღიად, გულწრფელად, იმ ნეგატიურ ფაქტებზე, რაც სამწუხაროდ ძალიან არასასურველად აისახა, თანამედროვე რუსთავის თეატრზე... ნიგნის ავტორი, გულსტკივილით გვესაუბრება, იმ ნეგატიურ ფაქტებზე, რაც რუსთავის თეატრის უახლეს ისტორიაში, თეატრის ხელმძღვანელობის დანიშნვის საქმეს შეეხებოდა. სახელმწიფო მოხელეების, შექმნილი კომისიების მხრიდან, ნეპოტიზმის ფაქტორმა, შემოქმედებით საქმიანობაში უხეშად ჩარევა- რუსთავის თეატრი შემოქმედებითი რელსებიდან, ლამის უსასრულოდ, ბურუსით მოცულ, ლაბირინთში გადაიყვანა... საოცრად შემძირა, ქალბატონ ლარისა ხაჭაპურიძის წერილმა, რომელიც თავდაპირველად სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა, რის შემდეგაც თამარ კანდელაკის ნიგნი "მე მიყვარს რუსთავის თეატრშიც" დაიდო ბინა. წერილის სახელწოდებაა "თეატრის მონოლოგი". გთავაზობთ, მცირე ამონარიდებს წერილიდან:

"ვაიმი, ვაიმი, ასე როგორ გამოიმეტეთ, სულ დაბლა, დაბლა ვეშვებით. სადაცაა ჩავიდირები. ხელის შემშველებელი კი არა ვინაა, ო, როგორ არ მინდა, რომ იმ წუმბეში ჩავვარდე, საიდანაც ამოსვლა უკვე შეუძლებელი იქნება. სულ სველი ვარ, მეუბნია არ გავცივდე, მერე ხომ ვერავინ მიშველის, ხელი მომეცი, ნუ კარგავთ დროს თორემ, ყველაფერი ცუდად დამთავრდება... ეს რა არის? ეს ცრემლებია, მე ვტირი, ვტირი, დიახაც ვტირი, იმიტომ ვტირი, რომ თქვენ მიმატოვებთ, მარტო ვარ, გაუსადქვსია ეს მარტოობა. სიცოცხლე ქრება, სიბნელე ისადგურებს. მე კი გათენებას მაინც შეუპოვრად ველოდები. გული მტკივა, გაუსადქვსიად მტკივა, უთქვენობა მტკივა. გესმით?!. მტკივა, მტკივა, მტკივა!.. ხედავთ, როგორ ამღვრეულია ყველაფერი?!. შემომხედეთ რას დავემსგავსე!". ქალბატონი ლარისა წერილს "თეატრის მონოლოგი" აღვიქვამ, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ნოველას, სადაც თეატრი თავის თავს, კედლებს, სცენას, პარტერს, კულისებს, მსახიობებს, მაყურებელს და არა მხოლოდ მათ, მთელს ქვეყანას შესტირის და დასტირის... ამ წერილის ნაკითხვისას, ისეთივე სევდიანი განწყობა დამეფლა, როგორც დიდი კლასიკოსი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის

ნოველის "იყიდება საქართველოს" ნაკითხვისას. საოცრად მიმიმეა, როდესაც ვკითხულობთ მწერლის სულის ტკივილიან ამოძახილს:

"იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ- მოყვარეობით... იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ღოთი და პირაკურული. იყიდება ყველგან ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარბი და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნანო-ნანო... იყიდება პატარ-პატარ ნაჭრებით, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით..."

ნიგნის ავტორი, თამარ კანდელაკი, ცდილობს თვალნათლივ დაგვანახოს, როდენ ტკივილიანი და ამავდროს, როდენ საყვარელია, მშობლიური თეატრი, მისთვისაც და სცენის მოყვარულთა დიდი მრევლისთვისაც, რომელიც "გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!".

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს ყველა იმ ძირითად გამოწვევას, რომელიც რუსთავის თეატრის წინაშეა, იქნება ეს ურთიერთობები ქალაქის, რეგიონის, სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, თეატრის ხელმძღვანელობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კულტურის წარმომადგენლებთან, მაყურებელთა და ა. შ. აუცილებელია, განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს თეატრი, რა როლი აქვს ნებისმიერ თეატრს (ჩვენს შემთხვევაში რუსთავის თეატრს), ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის რეალურ ყოფასა, მომავლის ხედვასა და განვითარებაში... ჩვენის აზრით, თეატრის არსებობა, სიცოცხლე, დინამიური მოქმედება, ერისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი საზრისი და დანიშნულებაა... ჩვენს შემთხვევაში, რუსთავის (დიდი ტრადიციების მქონე) თეატრის არსებობა, ქალაქისა და შემდგომ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საზრისია!... რუსთავის თეატრის სცენაზე იდგნენ და დგანან: გივი ბერიკაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, ქეთევან კიკნაძე, ზაირა (ზაზა) ლებანიძე, ჯემალ გაგნიძე, ლეო ანთაძე, ირაკლი უჩანეთი, ია ხობუა, რეზო ხობუა, ლეო ფილანი, ვენერა ნეფარიძე, მალხაზ გორგილაძე, თამარ სხირტლაძე, თაზო თოლორაია, კოტე თოლორაია, ლეილა შოთაძე, გურანდა გაბუნია, ზეინაბ გზირიშვილი, ეთერ სიხარულიძე, თენგიზ მანისურაძე, ლარისა ხაჭაპურიძე, ზაალ გამყრელიძე, ნათელა მუხლიშვილი, ირაკლი ბეჭია, გია ლეჟავა, გია ტყეშელაშვილი, ოთარ სეთურიძე, ლერი მიშველაძე, ბადრი კაკაბაძე, ბადრი ბეგალიშვილი, შოთა სხირტლაძე, გივი ჩუგაშვილი, გალინა კიკნაძე, სპარტაკ კიკნაძე, ხათუნა ბოკუჩავა, ნუკრი არჩვაძე, ლეილა ბატიშვილი, ხათუნა იოსელიანი, ელისო გუდიაშვილი, სოსო გოგინიაშვილი, ნანა დათუნაშვილი, რეზო ჩხიკვიშვილი, ბესო ზანგური, თამარ კანდელაკი, ზურაბ ინგოროყვა, დონარა გვრიტიშვილი და სხვა მრავალი სცენის ვარსკვლავები, რომელთა წარმომადგენლები, ახლაც მედგრად დგანან და ამშვენებენ- რუსთავის, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის წამყვანი თეატრების სცენას... თეატრს, რომლის სცენასაც ისეთი ვარსკვლავე-

ზაალ ნემსაძე

აკაკი

ბი აზანზარებდნენ და აზანზარებენ, რომელთაც შექმნეს ეპოქა ქართულ თეატრსა და კინოში, რა უფლება აქვს, არ იარსებოს?!. რა უფლება აქვს კვლავაც და კვლავაც არ იცოცხლოს?!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა, რუსთავის თეატრის მსახიობები, ლარისა ხაჭაპურიძე და თამარ კანდელაკი, კულტურის ამადარის ნოდებით დაასაჩუქრა.

საქართველოს მწერალთა სახლში, თამარ კანდელაკის წიგნის წარდგენას, ესწრებოდნენ, კულტურისა და ხელოვნულების წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდა, ცნობილი რეჟისორი, რუსთავის თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი (ამჟამად ივ. მაჩაბლის სახელობის, სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) გოჩა კაპანაძე, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა, თეატრის ყოფით და აქტუალურ საკითხებზე... ძალიან ემოციური და შთაბეჭდილი იყო, წიგნის ავტორის თამარ კანდელაკის და სხვა წარმომადგენლების გამოსვლა... ღონისძიებას ესწრებოდა, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე-კახა კობერიძე. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ბატონი კახა კობერიძე, ძალიან აქტიურად უდგას მხარში, ქართულ კულტურას და მათ შორის დღევანდელ რუსთავის თეატრს. ბატონი კახა, ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარია, ქართული მწერლობის, თეატრის და ზოგადად ქართული კულტურის...ღონისძიებას ესწრებოდა, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გუბაზ მეგრელიძე, რომლის გვარ-სახელიც არა ერთხელ (ხაზგასმით) არის ნახსენები, თამარ კანდელაკის წიგნში "მე მიყვარს რუსთავის თეატრი" და რომელიც ხელოვნებათმცოდნე ნათელა არველაძესთან ერთად, სამართლიანად, მიუკერძოებლად იცავდა რუსთავის თეატრის ინტერესებს, მაშინ როდესაც რუსთავის თეატრის ბედი მართლაც, რომ გაურკვეველი და ბურუსით მოცული იყო...წიგნის წარდგინებაზე სიტყვით გამოვიდნენ, კულტურისა და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ალმარ ლომიძე, ლეილა აფციაური, ზვიად თავაძე და სხვები...ღონისძიებას ესწრებოდა, რუსთავის, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის, ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი სოსო ნემსაძე, რომელსაც მაღლიერების გრძნობით მიმართეს რუსთავის თეატრის მსახიობებმა, ლარისა ხაჭაპურიძემ, თამარ კანდელაკმა და სხვა დამსწრე საზოგადოებამ. მათ მიერ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ბატონი სოსოს გამოჩენამ სულ სხვა ელფერი და სიცოცხლე მისცა რუსთავის თეატრის დღევანდელ ყოფას. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღეს რუსთავის თეატრი აქტიურად მუშაობს, სხვადასხვა ფანრიის პიესებზე. დაიდგა და იდგება, არა ერთი საინტერესო სპექტაკლი, რაც თეატრისა და ქალაქის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მონდომებით და თანადგომით გახდა შესაძლებელი...ვისურვებდი, რომ ჩემს მშობლიურ, საყვარელ, რუსთავის თეატრს, არასოდეს განმეორებოდეს, ის რთული და გაურკვეველი ყოფა, რომელიც სულ ახლო წარსულში გადაიტანა და რომელსაც მიეძღვნა, თამარ კანდელაკის (გულის ტკივილით) გამოცემული წიგნი...მინდა, რომ რუსთავის თეატრმა არ შეანელოს სვლა, კვლავაც აღმავლობის გზით იაროს და ღირსეული ადგილი დაიკავოს ქართული თეატრის ისტორიაში...მინდა, რომ რუსთავის თეატრმა, ღირსეულად გაამართლოს მაყურებლის ნდობა...რა-ტომ? იმიტომ რომ - მე მიყვარს რუსთავის თეატრი!..

პატივისცემით, მაყურებლის პოზიციიდან- ირმა კეკელიძე

2023 წლის 4 ივლისს, დილის 11 საათზე 35 წუთზე, მე და პროფესორი-ჰომეოპატი გია ნადარეიშვილი, ჩვენს განუყრელ მეგობართან, ქართული ტვის ოპერატორთან ნიკა მესხიძესთან ერთად, საჩხერეში, ჩვენი საუკუნის უდიდესი მოქანდაკისა და მხატვრის, ბატონ ზურაბ წერეთლის შექმნილ აკაკის ძეგლთან ვიდექით და გადაცემის ჩასანერად ვემზადებოდით. ამ ქმნილების შესახებ რამდენიმე ფოტო წინასწარ ვნახე ბატონ ჯუმბერ პატიავილის წყალობით, რომელიც მის საზეიმო გახსნასაც დაეხმარა, სიტყვითაც გამოვიდა და დიდი პოეტის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ბატონ ცეზარ ლაშხს, საჩუქრად გადასცა ქართული ანბანის ძეგლის მასშტაბური ფოტო, რომელიც ბატონმა ზურაბმა მოსკოვში აღმართა.

ერთიან ფოტო და სულ სხვა ცხადად ნანახი. როცა აკაკის ეს ძეგლი ვინილზე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა და შეგრძნებაც დამეუფლა, თითქოს ამგვარი აკაკი სადღაც ცოცხლად მენახა. დავიფიცებდი რომ მენახა, მაგრამ ვერ გავრკვეულიყავი, სად და როდის.მერე მეგობარმა ფსიქოლოგმა ამიხსნა, რომ ზოგჯერ ადამიანს აქვს მომენტი, როცა თითქოს უკვე ნამყოფ სიტუაციაში ისევე ხვდება და ამაში გასაკვირი არაფერიაო....

ესამოცანა და გაურკვეველობა გაგრძელდა ზუსტად 2024 წლის 10 მაისამდე... გადავშალე ჩვენი კლასიკოსის, ბატონ რევაზ მიშველაძის ახალი წიგნი „შავი ყუთი“, რომელშიც 23 ნოველა და უამრავი პუბლიცისტური ნაშრომი შესული. მთელ წიგნს დიდოსტატის ბეჭედი აზის. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება, გაოცება და რამდენიმე თვიანი გაურკვეველობიდან გამოსვლა, ნოველამ „ქართული კინოს მამა“ გამოიწვია, რომელიც 63-ე გვერდზეა დაბეჭდილი და 17 გვერდისგან შედგება: „მალალი, წარმოიდგინეთ ასე, ასე ჩემზე უფრო მალალი, ნელში გამართული, კოხტა, პენიანი მოხუცი გახსნას, მისი ხელჯობი ეჭირა და მუქი ნაცრისფერი, უჩვეულოდ გრძელპიჯაკიანი კოსტიუმი ეცვა კოსტიუმისფერისვე ჟილეტით, თეთრ პერანგზე ლურჯი ჰალსტუხი ეკეთა, ჟილეტის ჯიბეში კვართიდან ძენკვით გადატანილი საათი ედო, პიჯაკის მარჯვენა გულის ჯიბეში თეთრი მიხაკი. გრძელი, ფეხსაცმელებთან მრავალგზის მოკეცილი, განიერი შარვალი ეცვა და ძალიან დიდი ასე, დაახლოებით ორმოცდარვა ზომის ევროპული შავი ტუფლები. ეს რაც შეეხება ჩაცმულობას.

ლამაზი თავლისფერი თვალები კეთილ სხივებს აფრქვევდა. ზოგჯერ დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ თუ რაიმეს თქმას დააპირებდა, ის დაღლა სადღაც ქრებოდა და სახეზე მომწუსხველი ღიმილი დასთამაშებდა.

თმანვერიანად გათეთრებული გახლდათ. სუფთა ბამბისფერ, სპეტაკ სითეთრეს დაეთოვა ერთ ზომაზე

შეკრეჭილ თმაზე და ნვერებზეც. წარბებიც კი ულვაშიწვერისფერი ჰქონდა და ეს ყოველივე საოცრად მიმზიდველ იერს აძლევდა.

თავს მალა სწევდა, რადგან მარჯვენა ქუთუთოს დამბლა ჰქონდა. დადიოდა გრძელი, დინჯი ნაბიჯებით. ლაპარაკობდა ოდნავ ხრინწიანი ხმით, მაგრამ სიტყვებს გარკვევით გამოთქვამდა... (რევაზ მიშველაძე, „შავი ყუთი“ გვ.71-72.)

ასე აღუნერს მეშვიდეკლასელ რეზო მიშველაძეს, დიდ აკაკის, ქართული კინოს მამა ვასილ ამაშუკელი ამ ნოველაში. აი, ამის ნაკითხვის შემდეგ შევბოვით ამოვისუნთქე. გამიქრია ის რამდენიმე თვითგააზრება, რაც აკაკის საჩხერეში დადგმული ძეგლის პირველად ნახვისას გამიჩნდა.

ჩემო ძვირფასო საზოგადოებავ! ამ ნოველაში დახატული აკაკი ლამის ერთი ერთში ჰგავს საჩხერეში ძეგლად ქცეულ აკაკის და შეება იმის გამო ვიგრძენი, რომ ეს ნოველა უფრო ადრე მქონდა ნაკითხული, ვიდრე ძეგლს ვნახავდი „მწერლის გაზეთში.“ ეტყობა კლასიკოსთა ნაწარმოებებს აქვთ საოცარი თვისება. ისე იყვრობენ გონებას, შენი ხდებიან. როცა მკის მამითადაში ვესმარებოდი თანაკურსელს და კარგა ხნის მერე, ლევ ტოლსტოის პერსონაჟის ცელის ქნევას ვკითხულობდი, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მე ვიდექი ცელით ხელში... თუ როგორ მოხდა ერთი გენიოსის რევაზ მიშველაძის კალმით შექმნილი დიდი გენიოსის აკაკის სრული განხორციელება, კიდევ ერთი გენიოსის - ზურაბ წერეთლის მიერ ძეგლის სახით, ამის ახსნა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ამ გენიოსებს ქმნის და ჩვენ პირდაღებულებს გვტოვებს თავისი ქმნილებების პირისპირ.

ბატონ რევაზს რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს აკაკის მიმართ, მისმა მკითხველებმა კარგად ვიცით. მან ზეპირად იცის აკაკი შემოქმედება და როცა ბატონი მიშველაძის შესახებ ფილმს ვიდებდი („ქართული სიტყვის სარდალი“), აკაკის საყვარელი სიმღერები და მელოდიები გამოვიყენე, რამაც იგი ძალიან გაახარა.

„რა იმღერა? იმღერა „იმერული მრავალჟამიერი“, „ჩემო ციცინათელა“, „გახსოვს ტურფავ“, მშვენივრად აყვა „რაჭულ მრავალჟამიერს“ და „ქვედრულა ადიდებულას“. (რევაზ მიშველაძე, „შავი ყუთი“. გვ.76.)

იმედს ვიტოვებ, რომ ამ ნოველას მკითხველი არ მოაკლდება ისევე, როგორც ამ წიგნს... და მათ შორის აღმოჩნდება ისიც, ვინც აღიარებს, რომ მსგავსი აღწერა და დასურათება ლამის ქვეყანასთან გაიგივებული მოღვაწისა, როგორც კენტად შემორჩენილმა კლასიკოსმა მოახერხა ამ პატარა ნოველაში, არ იცის მსოფლიო ლოტერატურამ. დიდი აკაკი დახატულია სრულად თხემიდან ორმოცდარვა ზომა „ტუფლებამდე“ და რაც უმთავრესია, პოეტის სული და მისი ბოხოქარი ხასიათია ხელისგულზე და მჯერა, ახლო მომავალში შეიქმნება ფილმი ამ ნოველის მიხედვით აკაკი წერეთელზე და ვასილ ამაშუკელზე. ფილმის გადაღებას დიდი

ტვინის ყყლეტა არ დაჭირდება. ეს ნოველა ფილმი უკვე. თუ სპონსორი არ მოიკლავს თავს, სახელმწიფო რას მიკეთებს? არა მგონია მილიონები დაჯდეს ამ ფილმის გადაღება. მთავარია, დასანახი დავინახოთ. ის ხიდი, რომელიც დიდმა მწერალმა გადო აკაკის წინ, შემთხვევით არ აშენებულა. უფლის ნებით მოხდა! ორ კლასიკოსს შორის დროის მანძილი 100 წელია. აკაკი 1840 წელს დაიბადა, რევაზი კი-1940 წელს. ამ პატარა წერილის მიზანია, შევაფხიზლო ჩვენი კინომოღვაწეები და ქართველი მილიონერები და ვეუბნები მათ: გენიოსთა ღვაწლის გამომზეურება ბიბლიური ზაქცეს ხაქციელი იქნება და იესო ისე მოეპყრობათ, როგორც ზაქცეს.

„შავი ყუთის“ სხვა ღირსებებს მომავალში შევეხები და ძალიან მინდა სხვებმა დამასწროთ... ამ წიგნში საოცარი ნოველებია და უახლესი ისტორიაზე პუბლიცისტისკის შედეგები.


იარუსალიმი-----თბილისი

ეს გახლავთ ნოველის სათაური, რომელიც ქართველ კლასიკოსს, სახალხო მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ეკუთვნის და სათაურად უძღვის შესანიშნავი ქართველი მწერლის, ბრწყინვალე პიროვნების, ისრაელში მოღვაწე იაკობ ჰაპიაშვილის ივრითზე თარგმნილ რევაზ მიშველაძის ნოველათა კრებულს.

თავიდანვე მოგახსენებთ, ივრითზე ამეტყველებული მეორე ქართველი მწერალია ბატონი რევაზი მისი დიდი პაპის პაპის შოთა რუსთაველის შემდეგ. ბატონი იაკობი კი მეორე ებრაელი მწერალია ბორის გაპონოვის შემდეგ, რომელმაც ისრაელს გააცნო თანამედროვე ქართველი მწერალი. აქვე გეტყვით, რომ ეს ორი ივრითზე მოუბარი რუსთაველის და მიშველაძის წიგნები გვერდიგვერდ დევს ისრაელის, ჰარვარდის და ბერლინის ბიბლიოთეკებში. იაკობ ჰაპიაშვილის თარგმანს ამშვენებს მისივე ბრწყინვალე მეცნიერული კვლევა „ქართული ხუცური(ასომთავრული და ნუსხური) დამწერლობის შექმნისათვის ძვ.წ. მე-14-13-ე ს.“ და „რამდენიმე ასპექტი ქართული დამწერლობის (ხუცური: ასომთავრული და ნუსხური) წარმოშობის გასარკვევად რევაზ მიშველაძის ნოველების ყვირითი ენაზე თარგმანსთან დაკავშირებით.“

თარგმანში შესულია ნოველები: „იერუსალიმი-თბილისი“, „ნინიკო“, „დიდვაჭარი“, „თამარ მეფის ორდენის კავალერი“.

თავს უფლებას მივცემ და ბატონი რევაზ მიშველაძის მრავალათასიანი მკითხველების სახელით, დიდ მადლობას ვუხდით ბატონ იაკობ ჰაპიაშვილს ამ ბრყინვალე თარგმანისთვის და ვულოცავ ილია ჭავჭავაძის პრემიის მინიჭებას.



იერუსალიმი - თბილისი

მიუნხენის შეთანხმება

ამ ნაწარმოების შექმნისას ავტორმა გამოიყენა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ლ. მოსლის წიგნი „დაკარგული დრო“, წიგნის შემოკლებული თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე ეკუთვნის ე. ფედოტოვს: Л. Мосли, „трагическое время“.

Воениздат, Москва, 1972

მიუნხენის შეთანხმება, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია იცნობს ტერმინით „მიუნხენის შეთქმულება“, ცნობილია აგრეთვე მიუნხენის კონფერენციის სახელწოდებით. ეს კონფერენცია ოთხი სახელმწიფოს მონაწილეობით: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და გერმანია გაიმართა 1938 წლის 29 - 30 სექტემბერს ქალაქ მიუნხენში „ფიურერბაუში“, რაც ნიშნავს ფიურერის სახლს. ეს შენობა აიგო 1933 - 1937 წლებში არქიტექტორ პაულ ლიუდვიგ ტროსტის პროექტით. გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის მართვლობის დროს ფიურერბაუ წარმოადგენდა ადოლფ ჰიტლერის ოფიციალურ რეზიდენციას. მიუნხენის შეთანხმების პოლიტიკურ მორიგებაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრები: დიდი ბრიტანეთიდან ნევილ ჩემბერლენი, საფრანგეთიდან ედუარდ დალადიე, იტალიიდან ბენიტო მუსოლინი და გერმანიიდან რაიხს კანცლერი ადოლფ ჰიტლერი.

ამგვარად ფიურერბაუში 1938 წლის სექტემბერში შედგა ოთხი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერის პოლიტიკური მორიგება, რომელსაც საფუძვლად დაედო მუსოლინის წინადადება, რაც ფაქტიურად წარმოადგენდა ჰიტლერის მოთხოვნებს ჩემბერლენთან წინა შეხვედრის დროს ულტიმატუმის სახით. საკითხი ეხებოდა გერმანიისთვის სუდეტის ოლქის გადაცემას.

ნაციისტებს მხარს უჭერდნენ პოლონეთი და უნგრეთი; ამ ქვეყნებმა ტემინის ჩეხური სილესიის ნაწილზე და სამხრეთ სლოვაკიაზე პრეტენზია განაცხადეს და ჩეხოსლოვაკიის მთავრობისაგან ტერიტორიული დავების სწრაფად მოგვარება მოითხოვეს. ჩეხური სილესია მდებარეობს სუდეტების მთიანეთში და სამხრეთით ესაზღვრება კარპატები, სადაც იქმნება საზღვარი ჩეხეთს და პოლონეთს შორის. რაც შეეხება სასაზღვრო ზოლს სლოვაკეთსა და უნგრეთს შორის საკმოდ დიდია, ეს ზოლი 627 კილომეტრია.

სუდეტის ოლქი, სუდეტები, არის ჩეხეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლი: ჩეხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ინდუსტრიული, მინერალებით მდიდარი ტერიტორია და ჩეხეთის რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონი. ოლქის სახელი მის ტერიტორიაზე მდებარე სუდეტის მთებიდან მომდინარეობს, 1945 წლამდე სუდეტელი გერმანელებით კომპაქტურად დასახლებული ადგილი იყო.

ჩეხოსლოვაკიის მეორე პრეზიდენტმა ედუარდ ბენეშმა, 1938 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული ორი მიმართვით, სსრკ-ს სამხედრო დახმარება სთხოვა. მან, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, ორივე

საკითხზე დადებითი პასუხი მიიღო, მაგრამ იმავე წლის 21 სექტემბერს დასაველეთმა ბენეშს ულტიმატუმი წაუყენა...

მიუნხენის შეთანხმების წინა დღეს, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი იან მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის, ტომას მასარიკის ვაჟი, ლონდონის საგარეო საქმეთა ოფისში მიიწვიეს, სადაც გააფრთხილეს მოახლოებული მიუნხენის კონფერენციის შესახებ.

მასარიკმა იკითხა: „რადგან ეს კონფერენცია ჩემი ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად არის მონვეული, ჩეხოსლოვაკიის მთავრობას რატომ არ ინვევენ ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად?“

მას უპასუხეს: „კონფერენცია მხოლოდ დიდი სახელმწიფოების რანგშია გათვალისწინებული“.

იგულისხმებოდა რომ ქვეყნები, რომლებიც კონფერენციაში მონაწილეობდნენ უზრუნველყოფდნენ მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

„მაშინ, როგორც მე მესმის, საბჭოთა კავშირამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კონფერენციაში“, - აღნიშნა მასარიკმა.

ლორდ ჰალიფაქსმა (ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩემბერლენის ფაშისტური აგრესორების დამშვიდების პოლიტიკის მხარდამჭერი) უპასუხა:

„სტალინის მონვევა ვერ მოხერხდება, დრო არ იყო...“ და გარკვეული უხერხულობით დაამატა: „ყოველ შემთხვევაში, ამ კონფერენციაში კომუნისტების მონაწილეობას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, რამეთუ შესაძლებელი იყო ჰიტლერს საერთოდ უარი ეთქვა ამ იდეაზე“.

შეგახსენებთ, ლორდ ჰალიფაქსმა დამალა, რომ ჩემბერლენმა, ჰორას უილსონის რჩევით, სტალინი მიუნხენის კონფერენციის მონაწილეთა სიდიდან გამოირიცხა. უნდა აღინიშნოს, რომ ჰალიფაქსი ავტორი იყო ინგლის-გერმანიის შეთანხმების პროგრამისა სოციალიზმის წინააღმდეგ.

სერ ჰორას უილსონი (ვილსონი) იყო ნევილ ჩემბერლენის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციისტების ე. წ. "პოლიტიკურად დამშვიდების" ჩემბერლენისეული იდეის განხორციელებაში.

შეხვედრა ჩემბერლენს, დალადიეს, ჰიტლერსა და მუსოლინის შორის მიუნხენში, „ფიურერბაუში“, 1938 წლის 29 სექტემბერს დილით დაიწყო და გაგრძელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე, 30 სექტემბრის ღამის 2:30 საათამდე. ჰიტლერს თან ახლდა უზარმაზარი დელეგაცია, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი და ფელდმარშალი გერინგი. მუსოლინი თავის საგარეო საქმეთა მინისტრთან, გრაფ ჩიანოსთან ერთად იმყოფებოდა. დალადიეს ახლდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამჭრიახი და ცინიკური გენერალური მდივანი ალექსის ლეჟე. მორიგებაში მონაწილეობის უფლება არ მისცეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს, ადვოკატებს დოქტორ ჰუბერტ მასარეიკს და ვოიტეხ მასტნის. ისინი „ფიურერბაუს“ მისაღებში ელოდნენ, როგორც დამკვირ-

ვებლები. შეხვედრის დაწყებიდან 12 საათის შემდეგ მათთან ჰორასი უილსონი გამოვიდა.

- ყველაფერი გადაწყვეტილია, - თქვა მან და გაიღიმა. „ჩვენ თითქმის ყველა საკითხზე შეთანხმდით“.

დოქტორმა მასტნიმ პირქუშად ჰკითხა: „და როგორია ჩვენი ბედი?“

არც ისე ცუდი, ჰიტლერი გარკვეულ დათმობაზე წავიდა.

უილსონმა რუკა, რომელიც ხელში ეჭირა მაგიდაზე ჩეხების წინ გაშალა. მასარეიკმა და მასტნიმ ყურადღებით დახედეს რუკას და აღშოკებულბემა წამოიძახეს: „ეს გაუგონარი სისასტიკეა! თქვენ არა მხოლოდ განირეთ ჩვენი ქვეყანა, არამედ გვართმევთ ჩვენს თავდაცვით სტრუქტურებს... ყველაფერი ნაცისტებს გადაეცათ“.

უილსონმა ნარბები შეჭმუნა.

„ბოდიში, აზრი არ აქვს კამათს“, - თქვა მან. „მე არ მაქვს თქვენი მოსმენის დრო. მე უნდა დავბრუნდე დარბაზში“. ამ სიტყვებით დატოვა უილსონმა სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ჩეხები.

„იდეა“ - ეს სიტყვა ადამიანის ცნობიერებაში ასახვას რეალობას, მის დამოკიდებულებას მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებთან. არსებობს ცნებები: „საერთო კეთილდღეობის იდეა“, „სიკეთის იდეა“, „პოლიტიკური იდეა“... მაგალითად, ლენინის პოლიტიკური იდეა ანუ ფილოსოფია ორიენტირებული იყო საზოგადოების რადიკალურ რეკონსტრუქციაზე, რუსეთის იმპერიაში ყოველგვარი ჩავერისა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაზე. ასეთი რეორგანიზაციის საშუალებად ის მიიჩნევდა მარქსიზმს...

დროის საკითხია იმის მტკიცება, ემსახურება თუ არა ესა თუ ის იდეა მშვიდობის საქმეს. „დამშვიდების პოლიტიკა“ იყო ბრიტანეთის მთავრობის იდეა ნევილ ჩემბერლენისა და სტენლი ბოლდუინის ხელმძღვანელობით ნაციისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიასთან მიმართებაში 1933-1939 წლებში.

უინსტონ ჩერჩილის მიერ ბოლდუინის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ნათქვამი ფრაზა: „ბატონ ბოლდუინს არანაირ ბოროტებას არ ვუსურვებ, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ის საერთოდ არ დაბადებულიყო“ - ნევილ ჩემბერლენსაც ეხება.

როგორც არ უნდა იყოს, მიუნხენის შეთანხმებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჰიტლერმა დაარღვია თავდაუხსნელი შთანხმება და შეიჭრა ევროპაში...

ნევილ ჩემბერლენი გარდაიცვალა 1940 წლის 9 ნოემბერს და ალბათ იცოდა, რომ გერმანიის შეტევა სსრკ-ზე გარდაუვალი იყო... რაც შეეხება ლორდ ჰალიფაქსს და სერ ჰორას უილსონს, ისინი გარდაიცვალნენ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ამრიგად, მათ იცოდნენ, რომ ჩემბერლენის იდეა „ნაციისტების დამშვიდების“ შესახებ იყო მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი.

1938 წლის 30 სექტემბრის დილით ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ედუარდ ბენეშმა მიიღო ამ შეთანხმების პირობები ეროვნული ასამბლეის თანხმობის გარეშე.

გერმანელი გენერლები, რომლებიც ჰიტლერის წინააღმდეგ აჯანყების გეგმებს ამზადებდნენ, რათა დაეპატიმრებინათ და მოეხსნათ იგი რაიხის კანცლერის თანამდებობიდან, განზრახვა გვერდზე გადადეს და მიესალმნენ კაცს, რომელსაც შეძლო ომის მოგება უბრძოლველად. ანუ, ისინი მიესალმნენ ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობას ერთი გასროლის გარეშე. ისეთმა ბრძენმა სახელმწიფო მოღვაწემაც კი, როგორც იყო პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, გადაწყვიტა, რომ მიუნხენმა ერების თავზე ღრუბლები გაფანტა და ჩემბერლენს მილოცვის დეპუტა გაუგზავნა.

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო... ომმა რომელიც ხუთ წელზე მეტი გრძელდებოდა 71 170 000 ადამიანის სიცოცხლე შეენირა. დედამიწაზე ადამიანის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცა, „ეინ ამპფ“ და სვასტიკის (ჯვარი სწორი კუთხით მოხრილი ბოლოებით, მეორე მსოფლიო ომის დროს ნაციტური რეჟიმის სიმბოლო) დრო გამეფდა; ნაციტებმა გაანადგურეს სსრკ-ს მრავალი ქალაქი და სოფელი, მათ შორის ლენინგრადი და სტალინგრადი. ებრაელებსა და კომუნისტებს გაზის კამერებსა და კრემატორიუმებში წვავდნენ, აკრძალეს და ლიკვიდაცია გაუკეთეს ძველ აღთქმას, ხოლო ებრაელები ამოიღეს ახალი აღთქმიდან. ჰიტლერმა გამოაქვეყნა ახალი აღთქმის საკუთარი ვარიანტი - 100000 ეგზეპლარი, რომელსაც თავად გაუკეთა რედაქცია; დაწვეს მსოფლიოში ცნობილი მწერლებისა და ჟურნალისტების წიგნები. ომი დასრულდა 1945 წლის 9 მაისს. ბერლინი მთლიანად განადგურდა. ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე მთავარ ნაციტ დამნაშავეებს მიესაჯა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

ასეთია სხვისი მიწების უკანონოდ მიმტაცებელთა ბედი, ანუ ისტორიული განაჩენი.



ეს გახლავთ თავფურცელი ისრაელში მცხოვრები მწერლის იაკობ პაპიაშვილის რომანის „ამირანი“, რისთვისაც ავტორს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა. „ამირანი“ ახლახან გამოცა ებრაულ (ივრითზე), ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მასალის მომზადებაში მონაწილეობდნენ ია გორგიშელი და მარკ პაპიაშვილი

ჯუბა ლებელი

თუ ცას მიმზადებ

ვუმზერ ცხოვრებას, როგორც
სიტყვის კაზმულ ქარაგმას,
მაქვს რეაქცია ყოვლის მომცველ
აურზაურზე,
ლექსებს ვწერ გულში და ფურცლებზე
მერე გადამაქვს,
ვწერ, წერის მერე ვგავარ
ვაზნებდაცლილ მაუზერს!..

ხან სიცოცხლე აქვს, ხან სიკვდილი
პოეტს მოტივად,
გზა კი ერთია, - ბენვის ხიდი, ჩუმად
სავალი,
ყველა სტრიქონის ბოლო მაინც
ეშაფოტია,
სიყვარულია ყველა ლექსის ამოსავალი!..

გაყოფილია, ვით ეს გული, ორად
სამყარო,
ერთში სულ ბნელა, მეორეში მუდამ
დღე არის,
გინდა შეუდგე მთებს მხრებით და
შეაზანზარო,
გახდე პოეტი ზეციური რაშის მხედარი!..

მერე მოჰხვიო ხელი ღრუბელს და
ძმა-ბიჭვით,
მონმედ იახლო ჯვრის წერისას
ზევისას ასულზე,
დაუდგრომელი სულისა და ხორცის
ჭიდილი,
ვერ ეგუები, რომ როდისმე უნდა
დასრულდეს!..

თუ ცას მიმზადებ, მოაცილე ლულას
მაყუჩი,
მზეა სიკვდილშიც, სიღიადეც ასეთ
მზეშია,
მე ყველა ტკივილს ლექსში მჩქეფი
სისხლი მიყუჩებს,
პოეზია ჩემი სულის ანესთეზია!..

ნინო ხუციშვილი

აპრილმა ნაზი კაბა ჩაიცვა,
დარდი გაფანტა ცივი ზამთარის,
ამ ქუჩის ბოლოს დამდგარმა ფიქრმა
ჩემში იპოვნა თავშესაფარი.

ამ დღეს აპრილი აფრქვევდა გრძნობებს,
მან სიყვარულით თავბრუ მახვია,
მე და აპრილმა ვიპოვნეთ სივრცე,
ჯერ რომ არავის არც უნატრია.

ედემის ბაღში დგება აპრილი
და ნაზი სიო მკოცნის ლოყებზე,
იქნებ აპრილმა იცხოვროს ჩემში,
ყვავილთა სუნთქვაც არ მიმატოვებს.

და მაინც ბოლოს მოგძებნი შენ ერთს,
ჩემი ცხოვრების ნაწილად გაქცევე
და მერე ორნი აპრილის თვეში
სამყაროს ვუქსოვთ მშვენიერ გრძნობებს.

ვარდო დევაძე

დიდიხანია მოვდივარ,
მოვალ, მოვამკლევ სავალებს,
ვალმოხდილი ვარ ვერ ვიტყვი,
წლები უფრო მეტს მავალებს.

როგორც ფოლადსა ღუმელი,
ცხოვრება ისე მანრობდა...
ყველასთან გამომივიდა,
ვარგოდა თუ არ ვარგოდა...

როგორც ულაცის სადავე,
მუზა მოვმართე ნებაზე,
ნიჭი მითხარი თორემ,
ლექსი გამოვა ხმელაზეც...

ვინც გაგიცანით, გიცანით,
ზოგიც შორიდან გიხილეთ,
ცხოვრების ტკბილ-მწარე გემო,
მეც თქვენთან ერთად ვიხილე.

ვინც ვერ გავიცან ამ გზაზე,
ვერ ვნახე, არც გზად შემომხვდა,
იქნებ იქ ყვავის სამშობლო,
იქ სულ სხვა საქართველოა?!

წლებისა რა მოგახსენოთ,
ფარხმლის დაყრას არ ვაპირებ,
ამ შემოხიზნულ პოეტებს
სანამდის არ გავაცვილებ...

კვლავ თავნათქვამა ქალი ვარ,
საქმე რატომღა ვარჩიო,
მართალთან მართალსა ვჩივი,
ცრუს, აბა, რად შევარჩინო...

დროებით სადავეს მოვწევ,
მუზამ ძალიან აიშვა,
ქმარ-შვილი დაბრუნდებიან,
ქვაბი ცეცხლზე არ დამიდგამს...

ნესტან ხარებავა

ლაბირინთაჰი

ყურს ვუგდებ ისე ნადირთა როკვას,
ხმა იფანტება ქედებში, მთებში,
ტაძარს მამაო აგრძელებს ლოცვას
ჩანს ვიკარგები ლაბირინთებში.

ქაოსი არის, ქაოსი, ზეცას
ბრძოლას იწყებენ შავი ღრუბლები,
თვალს არ ვაშორებ, შევყურებ მე ცას,
ვხვდები, სულ მალე გავილუმბები.

დამეცა შუბლზე პატარა ნვეთი,
ცრემლს შეერია ციდან მოსული,
კვლავ სურნელს აფრქვევს იქ ცაცხვი ერთი,
ლამაზი, როგორც ქალი ორსული.

ნადირთა როკვა შეწყდა ნამიერ,
ქუხილმა შესძრა მთლად დედამინა,
ქარს მოჰყვა შორით „მრავლუამიერ“,
მთვარე დამფრთხალი ღრუბლის ქვეშ მინვა.

ვილაცა მღერის, ვილაცა ტირის,
თვალსანიერსაც ასცდა ფიქრები,
დასველდა ცაცხვი, ისიც დამტირის,
ვერ გავარღვიე ლაბირინთები.

ნათია ჯიქურაშვილი

ელენე ღარიანი პაოლოს!

იქით მდინარეა, აქეთ - მე,
იქით ქარია და მზე გულში,
ვიცი დღესაც როგორ მინატრე,
მე კი ავდექი და გაგიშვი...

წყალს რომ თავი მისცე მე რა ვქნა?!
უთქმელ დარდებდა რომ გპატრონობ,
იქნებ ის ცისკარიც შენა ხარ
ცაზე ლექსს რომ მიწერ, ბატონო!

იქნებ გულში ჩაკვრაც გნადია
წყალში მეორედაც შემოვალ?!
იქით ისევე ქარიშხალია,
შენში ჩასადგომად მელოდა.

ახლა გზებს უმზერ და კი იცი,
გაღმა დაგრჩენია სიცოცხლე,
შორით კვლავ ისრუტავ სიმძიმის,
ლამეს მერამდენედ ეომე.

წინ გზა, უკან შლეგი მენყერი,
წამიც კი შეჩერდა იქ შენთან,
სანამ ისევე მე არ შემხვდები,
მანამ სულ იქნება ბნელება.

ერთხელ ცივ ტალღებსაც შეებმი,
(ყოფის მდინარესთან მეომარს)
მერე ველარ ვიტყვი: შეჩერდი!
მერე ჩემს მკლავებში შემოხვალ.

ბელა ალანია

*ქსანზე, არაგვზედ ისევ ჰყვავიან,
ხოდაბუნები თავთუხებისა...
გოგლა ლეონიძე*

ბრონეულები ისევ ჰყვავიან,
დარად მზინვარე შენი ტუჩების,
არ მემეტება, მე სხვის არშიყად,
თვალე შენი - გიშრის მძივები;
არ მემეტება, მე სხვის ამბორად,
ნათელი შუბლი, თლილი თითები;
მოპარვით კოცნის მომლოდინეა,
მოღერებული შენი კისერი.
ამ ქუჩის ბოლოს ისევ გიცდიან,
შენთვის ჰყვავიან თავგამეტებით,
წითელ კვირტებად გაბნეული და
გადარეული ბრონეულები.
არ მემეტება, უშენობისთვის,
მე ეს სამოთხის სასწაულები.

ლიკა ფარცვანია

ოღონდ...

მომენატრე დილის მზეო,
სუნთქვავ აპრილისაო,
სიოს ტკბილად მონაბერო,
ხმაო წინკარისაო!
იასამნის სურნელებავ,
მინის ოხშივრისაო,
უურდულო კუტიკარო!
პაპის მარანისაო!
წვიმიანო ღობე-ღელევე,

მწვანედ ხასხასისაო,
მოგიზგიზე ბუხრის მადლო-
სიტყვავ წარსულისაო!
უბატონო კუთხის მადლო-
წმინდა გიორგისაო!
საფიცარო წინაპარო,
გენო ქართველისაო!
არასოდეს შერცხვენილო
ქალო მზეთამზისაო!...
დაუნერელ კანონების,
მუდამ პატივისაო,
ჩამავალო სიცოცხლეო,
გზაო სამოთხისაო!
დედის მუხტო უღალატოვ,
შვილთაშვილისთვისაო!
აფრენილო შევარდენო,
თავისუფლებისაო!
ყოველივეს ნატრული ვარ
კარჩაკეტილ მზისაო...
ოღონდ ქვეყნად ყოფა ჰყავი...
ყველა სწეულისაო...
მომენატრე, დილის მზეო,
სუნთქვავ ხვალის დღისაო!...

ლალი ჩხეიძე

რა ძნელია როცა იცი,
შეცდომა რომ დაუშვი.
დროის ისარს ვერ გადასწევ,
წარსულს ვერ შეეხები...
და ვერ შეცვლი იმ ცხოვრებას,
შენ თვითონ რომ ააგე.
სიმწრის ღიმილს ვერ ვიკავებ,
თვალებს ცრემლი ნამავს დღეს...
სახეს ღიმილის ვუალი,
გულში ცეცხლი გიზგიზებს.
ის გოგონა წარსულიდან
თითქოს ჩემში გაცოცხლდა,
გააღვიძა ძილ-ბურანში
მყოფი ყველა გრძნობა და
მეუბნება: - რომ ცხოვრება
ჩემი ახლად იწყება,
მეორე შანსი გეძლევა,
უნდა გამოიყენო.
ამ ლამაზი ილუზიით
თავბრუ ისე დამეხვა,
ველარ ვსაზღვრავ ვინა ვარ დღეს,
ქალი ვარ, თუ გოგონა...
რა ძნელია, როცა იცი,
შეცდომა რომ დაუშვი.

ნინო როსტიაშვილი

დაბრუნდნე...

ბუდეს, რომელსაც დაუბრუნდნენ
ისევ მერცხლები,
გპირდები, დედი! შენი შვილი,
საკენს დაუყრის.
...და ყოველ დილით აივსება
საძინებლები
ვარდობის თვით და მონატრებით,
შენი სურნელის.

მნიშვნელოვანი ზარი
მარტვილი - "ქუჯი 2024"

ლიტერატურული ფესტივალი „ქუჯი“ 2019 წელს დაარსდა და წელს მეექვსედ ჩატარდა. ის ხელს უწყობს ლიტერატურის განვითარებას და ამ რეგიონს




კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის. ფესტივალ „ქუჯის“ დამფუძნებლები არიან: ილია ერქვანია, ნანა კვაშილავა, ბესიკ გვაზავა, დალი ჯორბენაძე. ჟიურის წევრებმა წელს პირველად სამ ნომინაციაში გამოავლინეს გამარჯვებულები: „ერთი ლექსი“, „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“, „წლის საუკეთესო პოეტური დებიუტი“.

ჟიურის თავმჯდომარე იყო რაულ ჩილაჩავა. ჟიურის წევრები: ზოია ცხადაია, ბალატიერ არაბული, გიორგი ხარაიშვილი. გამარჯვებულები: ნომინაცია „ერთი ლექსი“ პირველი პრემია - როინ აბუსელიძე. მეორე პრემია - მირანდა ერისთავი. მესამე პრემია - ნანა ტრაპაიძე. ნომინაცია „წლის საუკეთესო პოეტური დებიუტი“ - ნატალი დარასელია.

ნომინაცია „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“ - ელგუჯა მარლია, გურამ ჯახუტაშვილი. პრემია „ქუჯი-ერთიანი საქართველოსთვის“ - ლეილა სიჭინავა, რეზო ჯორბენაძე, გიზო თავაძე (65). გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პრემიით და „ოსკარ შინდლერის აკადემიის“ (რექტორი: მაქს მიერ შავიტი) მიერ დამზადებული მედალით (პანო

დაჯილდოვდნენ: - ზაალ ებანოიძე - 85, სოსო სიგუა - 75. გამომგზავნიდა ასევე 7 ფინალისტი გამარჯვებულ სამ მონაწილესთან ერთად: გიორგი ბალახაშვილი, გიორგი ზედვაკელი (აბესაძე), სოფო ლლონი, მარი ჩაკვეტაძე, მარი-ანანა სადლობელაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, რეზო ჯორბენაძე.

ფინალში გასული ათეული დაჯილდოვდა დიპლომებით, გამომცემლობა „ინტელექტის“ წიგნებით, ჟურნალ „ხატიმამულის“ ნომრებით (გამომცემელი: ნანა მომცელიძე). ლიტერატურული ფესტივალი „ქუჯის“ ფარგლებში, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის (თავმჯდომარე: მაცვალა გონაშვილი) ჯილდო - გიორგი ლეონიძის სახელობის ენდალმა და მედალი „ნატურის ხე“ გადაეცა ჯენი ჩხეიძეს.



გამოვიდა სოსო სიგუას ლიტერატურულ-კულტუროლოგიური ნაწარების ანთომეულის მეორე ტომი. გამომცემლობა „ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე). დაბეჭდა გამომცემლობა „საარმა“ (დირექტორი ლევან თითმერია)

„ქუჯი 2024“-ის გამარჯვებული
ნომინაცია: „ერთი ლექსი“
პირველი პრემია - როინ აბუსელიძე

ბადის-ნარა
ლექსი რომ გაიგონა რადიოდან, მერე ღრუბელ-ღრუბელ დადიოდა. ველარ მოიშუშა ეს იარა, როცა "ლურჯა ცხენებს" ეზიარა. თოფის გამჭოლ მიზანს მოარიდა, გნოლი, აფრენილი ყორღანდანი. ხოლო პოეზიის კალათაში, კრძალვით აგროვებდა ბარათაშვილს. ჰქონდა მოთმინება ტუტისებრი, სახლში გაახარა თუთის ნერგი... მინდვრებს უფლისციხის ყაყაჩოთა, თითქმის ყოველ ღამით დარაჯობდა, "სადაც ყვავილები მთავრდებიან", ბარდნარს მიაშურა ვარდებიანს. შემდეგ უცისფრესი მატარებლით - მტვერში ნაქცეული პატარები, ცხოვრება რომ ექცათ პანაშვილად, ატარა, გაართო, დაამშვიდა. ქალი რომ დალანდა ალუბლებთან, ფურცელს მისი სტროფიც გაუბედა. ლექსებით ავსებდა საქალაქდეს, დაპირდა, დაბრუნდა! - აღარ დახვდნენ. წყვილიაღის სამყაროც მოიარა, თუმც არ უ-MEMENTO MORIA-რა. დედა დაესიზმრა იმედიანს, კაბისთვის გადადო სტიპენდია. არადა გრძნობები ველარ თმობდნენ, ოთახში ჰაერზე მეტადყოფნებს. (ოთახიც სხვაგვარად უხერხულობს, ფარდები ამთქნარებს ტუბერკულოზს) მეფე თუ ვერ შექმნა პაიკიდან, თავი პოეზიით დაიმკვიდრა. გალავნად მოედო დედამიწას, ღმერთმაც ბედურობის ნება მისცა. მისი ნიკორწმინდაც ცად აზიდა და იქცა ერთ-ერთად ათასიდან - ვინც ლექსით ჯებირებს გაიტანდა, ვინც ომში უშიშრად წავიდა და...

„ქუჯი 2024“-ის გამარჯვებული
ნომინაცია „ერთი ლექსი“
მეორე პრემია - მირანდა ერისთავი

სახლში მინდა
(ეძღვნება ყველას, ვისაც სახლში უნდა)
მე სახლში მინდა! — დამსხვრეული რადგან შუშა ვარ, ბავშვი იზრდება უჩემობით, მე კი — უშვილოდ, საქმე იყოს და... გარეთ გდებას არა უშავს რა — უფულობას თუ რამით უშველი. მეც სახლში მინდა! სამშობლოს გზას ვზომავ რადარით, გზას, რაც ყოველ დღე გადის ნერვზე და თავს არ იკლავს, ემიგრანტი ვარ! ჩემს წილ ნატვრას სიზმრით ვატარებ, სხვის მოხუცს ვუვლი და მიყვები დროის ალიკაპს. მე სახლში მინდა! წართმეული მინაც გარენარს დარჩა! — დევნილად რომ ვიარო, გზა-გზა ვეხეტო! მახსოვს, როგორც ის ჩემი ძალი, ისე დაეცა ჩემი ქალაქი ერთი სროლით მტრების ფეხებთან! მეც სახლი მინდა! — თუმც ჯარისკაცს ვინ მისცა სახლი, უკვე რწყილივით დავძმობილდი სანგრის თხრილებთან, რომ ბუზიც კი ვერ აუფრინონ ჩემს მინას ახლო, სანამ სიკვდილი ხვალ ჩემშიაც გაიხილება. მე სახლი მინდა! — გამომადგო შვილმა წლებია შევესისხლხორცე ხან ქუჩებს და ხანაც კათარზისს,

წვიმები ხშირად შავ გუბებში გუბედ წვებიან და ყელში ცრემლიც ლუკმასავით ველარ გადამდის. მეც სახლი მინდა! მიმატოვა დედამ ნაგვებთან და მამის ნაცვლად გვარს მძღვევენ შიშის კედლები, ზოგი ბავშვი რომ ოცნების კოშკს ცამდე აგებდა, — მე აბლაბუდის უჭერო ცას წვიმად ვედები. მე სახლში მინდა! — ავადმყოფთა თეთრი პალატა მანატრებს ჩემგან ბავშვობაში აყრილ სანოლებს, ვებრძვი სიკვდილებს, ჯვარცმებსა და დროის პილატე თავის ხელნაბანს ძუძუსავით ძილში მანოვებს. მეც სახლში მინდა! შევეხორცე საკნის კოშმარებს და პულსით ვითვლი დროს სახლამდე ისევ წლებია, სანამ მშრალ ვენებს ეს მაჯები ნამოროშავენ — სანამ თვალები შინ გაქცევას იხვენებიან. ვისთვის როგორ და... დედამინაც სახლია ჩვენი, - თუმც ვანადგურებთ ისე, თითქოს, რამე ჰობია, და დაბომბილი ჰაერის და დროის ნარჩენი მალე ზედ თავზე ზეცასავით დაგვემხოვიან... და რადგან ყველას სახლი გვინდა, არ არის რთული, რომ, არ გავწიროთ ეს სამყარო (შავი) გაგებით, სანამ ვცოცხლობთ და მოგვერვა თვალზე რული, სანამ სახლიდან საბოლოოდ ავიბარებთ!

იზა ჭიკაიძე

თქვენაული ლამარის ნათებით
(ბატონ რევაზ მიშველაძეს)

თქვენმა სიტყვებმა გზა მოიძია და სულში მარტის კვირტად გაბრწყინდა, გულმა ღრუბელი ისე გაფანტა, აღარას ვდარდობ დარდებს ამ დღიდან...

ფიქრებმა ფიქრით შეძრა სამყარო, დუმილს ჩვეული უფრო დადუმდა და საოცარი სიჩუმის თავქვემ ხვალის დღე ალერსს იწყებს წარსულთან...

ურთიერთობამ უფრო ნეტარად გამიპრილა კვირტები მარტის, ფიქრები არ მღლის!.. რწმენის, ოცნების გზას ვაგვირისტებ იმედის ძაფით...

თქვენმა სიტყვებმა გზა გააგრძელა, გულში მანის ვარდებად ელავს და თქვენეული ლამარის ნათებით ვერვინ მიკრძალავს ზეცაში მღერას!

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუნყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალ რევაზ მიშველაძის და ნათელა მიშველაძე და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუნყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალ ვახტანგ ჭანკოტაძის და დარეჯან ჭანკოტაძე და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს